საერთო გაზეთი

№24 (757)
ოთხშაბათი
3 ივლისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

ქართულმა გენმა მსოფლიო აალაპარაკა

რადიკალების მიზანია, ყველაფერი ეროვნული უსამშობლო ბიომასად გადააქციონ

ანაკლიის პორტის მშენებლობაში რუსეთი მხოლოდ ჩინეთს არ შეუშლის ხელს

მმართველ გუნდს პიარტექნოლოგიებში სერიოზული ხარვეზები აქვს

ტრამპისა და ბაიდენის დებატებმა შემაშინა...

მადლობა ქართული სასწაულისთვის!

საქართველოს „დაუძინებელი მეგობრების“ ვარამი

ყველამ ხომ კარგად ვიცით, სანამ საქართველო უცხო ქვეყნების კარნახით განსაზღვრავს ქვეყნის დღის წესრიგსა და პრიორიტეტებს, არაფერი გვეშველება.

რაც ყველაზე ცუდია, დრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს — რაც მეტი ხანი გავა, მით მეტი დრო დასჭირდება გონზე მოსულ ქართველობას დანგრეულის, გაფუჭებულისა და სიკვდილის პირას მყოფის აღსადგენად.

წარსულიდან გადმოყოლილ მიზეზთა გამო „ცნობადი სახეები“ არაფრისმაქნისები არ არიან საკუთარი „ცნობადობის“ შენარჩუნება აქვთ საზრუნავი და პირადი გამორჩენა. რისი მაქნისია დღევანდელ პარლამენტში მოკალათებული შემადგენლობის ეს ნაწილი, თვით გაუნათლებლებმა და ქვეყნის დამანგრევლებმა ვის განათლებასა და რომელი ქვეყნის აღმშებლობაზე უნდა იზრუნონ ან რატომ, მათზე განათლებულები ან აშენებულ-დამშვენებული საქართველო რად უნდათ, აბა, ჩახედეთ გულსა და თვალებში და შემდეგ მათ ენა-პირს მოუსმინეთ, უნდათ?!

საქართველომ, დედამიწაზე პირველმა მსოფლიო ცივილიზაციამ დასაბამი მივეცით დანარჩენ მსოფლიო ცივილიზაციებს და რატომ უნდა გვასწავლიდნენ ვიღაც დაღმეჭილები რაღაც რეკომენდაციებით, რა უკეთესია ჩვენთვის; ან რატომ უნდა გვჭირდებოდეს მათი ახსნა, რატომ სჯობს ჩემთვის ის, რაც მათ სრულებით არ ეხება, თუ ჩემს საზიანოდ ჩემს საზღვრებს არ კვეთს?

მამუკა მდინარაძემ განაცხადა, საქართველო არასდროს დაეთანხმება ვენეციის კომისიის იმ მოწოდებას, რომ საქართველოში დაშვებული იქნას ერთნაირსქესიანთა ქორწინებაო და ეს მართლა უწიგნური ბრბო აყაყანდა: „ვენეციის კომისია მაგას არ ითხოვს, როდემდე უნდა იტყუებოდეს „ქართული ოცნებაო“, „შენ მაინც არავინ შეგირთავს, რა გენაღვლებაო?“ და ა. შ. ამ კატეგორიას რა უნდა ელაპარაკო, რამის გამგები გგონიათ?

ამიტომაც უნდა მოშლილიყო განათლების სისტემა! აი, ასეთი ადამიანები „ანათლებენ“ აგერ უკვე წლებია, ახალგაზრდა თაობებს და ამიტომაც აღარ ჰგავს ბიჭი ბიჭს და გოგო — გოგოს, ორივე ერთად კი ადამიანს. დაიწყეს წიგნების დაწვით და ადამიანების დაწვაზე გადავიდნენ...

ვენეციის კომისიამ „ბომბები“ დაგვაყარა: გამჭვირვალობის კანონი — არ არის ევროპული!

ლგბტ-ს (ლესბოსელები, გეი, ბისექსუალები, ტრანსგენდერები) პროპაგანდის აკრძალვა — არ არის ევროპული!

ცესკო-ს რომ არ დაუნიშნეს „ლელოს ბიჭი“ მოადგილედ, ბარემ, ეგეც არ არის ევროპულიო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ვენეციის კომისია მწუხარებას გამოთქვამს საქართველოში „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან დაკავშირებით. თურმე, ძალიან სენსიტიური საკითხი ყოფილა და თანაც ცუდ დროს წამოუწყიათ, ძლიერი და გრძელვადიანი მრავალრიცხოვანი პროტესტებისა და ძლიერი პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობების ფონზე, თანაც, არჩევნებამდე რომ რამდენიმე თვეა დარჩენილი — და მიდევნებული აქვს: „...და უგულებელყოფს რამდენიმე საერთაშორისო დამკვირვებლის მიერ წამოყენებულ შეშფოთებას.“

ვენეციის კომისიაც ჭკუას გვარიგებს (ასე ჰქვია, რეალურად კი გვიბრძანებს), ახალი შესწორებების მიღებამდე ანალიზი ჩაატარეთ, სადაც ჩართული იქნება ყველა სეგმენტი, განსაკუთრებით, სექსუალური და გენდერული უმცირესობების წარმომადგენლებიო.

ამ ჩვენის ვენეციის კომისიას, ნეტავ, საკუთარი თავისა თვითონვე არ ერიდება? ასამდე სქესარეულ უწიგნურს უნდა ჰკითხოს ჭკუა და დაემორჩილოს სრულიად საქართველო? მათი სახელით „მოღვაწე“ ნჯო-ების დამფინანსებლების ვარამი ხომ არ არის ძაღლის თავი?

ვენეციის კომისიამ, ასე ვთქვათ, წერილობით ილაილავა და, ბოლოსდაბოლოს, ხვაშიადი გაგვიმხილა: „ვენეციის კომისია საქართველოს ოფიციალურ პირებს რეკომენდაციას აძლევს, მთლიანად გადახედონ ამ საკანონმდებლო ინიციატივას და არ გააგრძელონ მისი მიღება.“

თურმე, ამგვარი ტექსტის მიღების წინადადებაც კი, საქართველოში ლგბტ თემის წინააღმდეგ მტრული და სტიგმატიზირირებადი გარემოს კიდევ უფრო გამწვავების რისკს აჩენს.

ანუ, რა „დეპეშა“ გამოუგზავნა საქართველოში აწკავწკავებულ უცხო ქვეყნის აგენტებს — ჩვენ სხვას ვერაფერს ვახერხებთ, ისევ რევოლუციას „მიაწექით“, არჩევნები 2024 რომ ლეგიტიმური ვერ იქნება, ამის „სატოპკეებს“ ჩვენ აგიწევთო?

ახლა საქართველოს შიდა არასამთავრობო აგენტურა გადაწერ-გადმოწერს „დეპეშას“, ქართულად გააშალაშინებს და ეგაა, მზად არის სალაფავი უწიგნური ბრბოსთვის!

ეს კი, ასეა, მაგრამ მაშ რატომღა შემოდიან წინასწარ არალეგიტიმურად ცნობილ არჩევნებში, „გვეღადავებიან თუ გვაგოიმებენ“?

ევროპამ თქვა: მე ვარ კლუბი და ჩემი წევრები თუ ჩემს დრესკოდს არ გაივლიან, არ შემოვუშვებ, მით უფრო, რომ სახმელეთო საზღვარი არ მაქვს ამ გამოღვიძებულ საქართველოსთან და სულაც არ ვაპირებ ჩემი წესდების დარღვევასო. ასეა ეს და, ვერ შეედავები, მისი „კლუბია“. ახლა, ან მისი ქუდი უნდა დაიხურო, ან იყო ისე, როგორც იყავი — შენთვის!

საინტერესოა, ათეულობით მილიონმა ევროპელმა უარი უთხრა ევროპარლამენტში ულტრალიბერალურ, არასწორ და არატრადიციულ მიმართულებებს და ისინიც სანქციების ქვეშ მოყვნენ? — არაფერი თქმულა ამის შესახებ!..

ათასწლეულები გამოვიარეთ. ვიღაცების, მით უმეტეს, ევროპისა და აშშ-ის გარეშე, რომლებიც მხოლოდ თავიანთ კოლონიად განგვიხილავენ და დღეს ქართველების ქვეყანა ვართ კვლავ, პრეტენზიით, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი ვართ — იქნებ სჯობდეს, ღვთისმშობლის წილხვედრში დავკავდეთ და გავიაზროთ, რა ძალამ მოგვიყვანა აქამდე; იქნებ, რამენაირად მივხვდეთ, რომ განგება გვედგა გვერდზე მარადჟამს, მის ნაკვალევში ვაბიჯებდით და მან მოგვიყვანა აქამდე და არა ამერიკელმა კოლონიზატორებმა, ან „წმინდა ინკვიზიციამ“!

ჩვენ უდიდესი სიმდიდრე დავაგროვეთ კულტურისა და მეცნიერების სფეროში, მაგრამ უცხოტომელებმა კარგად იციან, როგორ უნდა გავანადგუროთ „სამოთხე-საქართველო“, როგორ უნდა გამოვუთავისუფლოთ იაფი ბაზარი და ადგილი იაფი მუშახელისთვის და ათწლეულებია, ადგილობრივი სამშობლოს გამყიდველების ზურგს ამოფარებულები, მათი ხელით წარმატებით ახორციელებენ კიდეც ამას.

როგორ და რატომ განსაზღვრა ქვეყნის ბედი იმ კანონებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოს პარლამენტმა „მსოფლიო ბანკისა“ და სხვადასხვა უცხოური ორგანიზაციების ზეწოლით მიიღო, ვფიქრობ, საკითხავი აღარ არის.

ახლა, როდესაც დადგა დრო და საქართველომ ისე წარმოაჩინა თავი, როგორც რეალურად ეკუთვნის, აბოჟირდნენ გაღმა-გამოღმიდან, სასტიკად არ მოსწონთ აქამდე იღლიაში ამოდებული „რაღაც საქართველოს“ მართალი სიტყვა და საქართველოს ამჟამინდელი მმართველი გუნდის მიერ საკუთარი სამშობლოს სასიკეთოდ გადადგმული ალალ-მართალი ნაბიჯები.

სიმართლე გითხართ, ძალზე მომწყინდა ეს თითიდან გამოწოვილი ფრაზები ე. წ. გამჭვირვალობის კანონსა და მმართველი გუნდის წევრების მიმართ სანქციების ამოქმედებაზე!

ჩვენ რომ დავასველეთ გასულ წელს ამგვარი კანონის მიღებზე სიტყვა და თავიანთი ქართველი გოშიების ხელით კიდევ ერთხელ და კიდევ ერთი რევოლუციის მოწყობა დააპირეს, თვითონ კი სულ შვლიპინ-შვლიპინით მიიღეს იგივე კანონის გამკაცრებული ვარიანტები — ესეც მომწყინდა!

ევო მორალესმა მრავლისმთქმელი სიმართლე თქვა: ერთადერთი სახელმწიფო, სადაც სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდება, ეს აშშ-ია, რადგან იქ ამერიკის საელჩო არ არისო...

კი, დააპირეს თავიანთთვის სასურველი ხელისუფლების დაბრუნება, მაგრამ ჰოი, საოცრებავ მათთვის, — არ გამოუვიდათ! ესეც ერთ-ერთი ლურსმანი იყო მათ კუბოზე დაჭედებული! ამით მიხვდნენ, რომ რაღაც „ისე“ აღარ იყო და შესაძლოა, ძველებურად ბევრი რამ აღარ ყოფილიყო, მაგრამ კანონის უკან შემობრუნებას ნამდვილად აღარ ელოდნენ. არც ბატონი ივანიშვილის კვლავ გამოჩენას ელოდნენ და აერიათ თავ-გზა.

როგორი უნამუსოები ყოფილან, რომ საკუთარი თავის ღიად გამოვლენისაც აღარ ერიდებათ!

რა სანქციები, ან ვის აშინებენ სანქციებით!

სააკაშვილის ხელისუფლების სისხლიანი 9-წლიანი მმართველობის დროს სისტყვა „სანქცია“ კი არა, ერთი მკვახე სიტყვა არ დასცდენიათ „დემოკრატიის მამებს, დედებს და მათ ლაყე კვერცხებს“ — ძალიან გაბრაზებული ვარ!

მამუკა მდინარაძემ გაიხუმრასავით: „25 წლის ასაკში პირადად მე რომ დამიჭირეს „ნაცებმა“ კანონის აღსრულების გამო და 45 წლის ასაკში მეუბნებით, 20 წლის შემდეგ, რომ „გამჭვირვალობის კანონის“ მიღების გამო, ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ კანონი მოქმედებს ისეთი, გაცილებით ლოიალური ვერსიის მიღებისა და გამოტანის გამო თურმე დამასანქცირეს. იმედია, 65 წლის რომ ვიქნები, წაკითხვის გამო თოფს არ მესვრის ვინმე ან ავტომატს“. ბატონო მამუკა, რამ გაგიჩინათ ეს იმედი, აგერ, ახლახან არ ესროლეს ფიცოს?

იმ თაობის ადამიანს, რომელიც „ამერიკის ხმას“ ჩუმად უსმენდა და ზეაღმატებული წარმოდგენა ჰქონდა დღევანდელ „კოლექტიურ დასავლეთზე“, ისე გამიფუჭეს წარმოდგენა მათ მიერ მიღწეულ „ღირებულებებსა და თავისუფლებებზე“, რომ ამ ქართველების სიტყვები წამდაუწუმ ჩაძახილად ჩამესმის. სტალინი: „მე ყოველთვის მეგონა, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა, მაგრამ მეგობარმა რუზველტმა ამიხსნა, რომ დემოკრატია ამერიკელი ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს!“

ზვიად გამსახურდია: „ყველაზე უკანასკნელი რუსი სუკ-ის ჯაშუში მირჩევნია ყველაზე დემოკრატ ამერიკელს!“

მერაბ ჯიბლაძე; „1983 წელს ლექციების სპეცკურსის წასაკითხად ჩემი მეგობარი, გამოჩენილი მეცნიერი ქიმიური ლაზერების დარგში, პროფესორი როლფ გროსი მოვიწვიე. იგი მრავალჯერ იყო ნამყოფი საქართველოში და იმდენად კარგად იყო განწყობილი ჩვენ მიმართ, რომ თვე-ნახევარი გამონახა ჩვენთან დასარჩენად. ერთხელ მან მითხრა: თქვენ რუსების კი არა, ამერიკელების უნდა გეშინოდეთო. გამიკვირდა, ამერიკა ცხრა მთას იქით არის, რა და როგორ უნდა დაგვიშავოს-მეთქი?

— მე ვიცი ამერიკელების

10 გვ. →

რადიკალების მიზანია, ყველაფერი ეროვნული უსამშობლო ბიომასად გადააქციონ

გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი:

– ბატონო დავით, არ შეიძლება ქართული ფეხბურთის ლეგენდარული წარმატებით არ დავიწყოთ. სულ ცოტა ხნის წინათ ოცნებაც კი არ შეგვეძლო საქართველოს ეროვნული ნაკრების მსგავს მიღწევებზე...

– ჩვენი ნაკრების წარმატება ევროპის ჩემპიონატზე, ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს წინსვლას მაგონებს. მხოლოდ ერთეულებს სჯეროდა, რომ ფეხბურთში ფინალურ ეტაპზე გავიდოდით. ასევე იყვნენ დარწმუნებული ადგილობრივი მავნებლები, რომ სტატუსს არ მიგვანიჭებდნენ, მაგრამ ვერ მივართვით - ვერც ერთი და ვერც მეორე.

ყოველი დასასრულით რაღაც ახალი იწყება. ღირსების და თვითმყოფადობის დეფიციტში ჩვენს გუნდს ვერავინ დაადანაშაულებს. თვით ესპანეთიც კი, პირველ ტაიმში აშკარად "სასოწარკვეთილ დიასახლისებს" დავამსგავსეთ და ფსიქოლოგიური წონასწორობიდან გამოვიყვანეთ. რომ არა ჩვენს კარში წესების დარღვევით გასული ბურთი, პირველი ტაიმის მიწურულს, ჩვენი ბიჭებიც უფრო მოტივირებულები იქნებოდნენ მეორე ტაიმში, სადაც უკვე ჩატარებული უმძიმესი ტურნირის და ურთულესი მოწინააღმდეგების გამო, ბუნებრივი გადაღლა დაგვეტყო.

ჩემთვის ამ ტურნირის მშვენება გახდებოდა კვარაცხელიას მიერ, თავდაჯერებული მეტოქისთვის, მინდვრის ცენტრიდან გატანილი ბურთი, მაგრამ ამის გარეშეც უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს გმირ-ბიჭებს. პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო, ფაქტობრივად, "მტრის ზურგში" იყო ჩასული, არც არაფერს აკლებდნენ ჩვენს ბიჭებს და მწვრთნელს ადგილობრივი გესლიანი სვავები და ლეშიჭამიები. აი ყველა ესენი ერთად აღებული, ჩვენ ნამდვილად დავამარცხეთ ტრიბუნებიდანაც და საფეხბურთო მოედანზეც და ამ წინსვლას ველარავინ შეაჩერებს!

– ქვეყნის უდიდესი ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი, ფეხბურთელებს სოლიდურ ფულად ჯილდოს დაჰპირდა. თუმცა, მისი ეს ნაბიჯიც ქართველმა რადიკალებმა ირონიის საგნად აქციეს და არც კონკრეტული ფეხბურთელების სახელის მარგინალიზაციას მოერიდნენ...– ეს არის ქართული სულითა და ეროვნული მენტალობით ნაკარნახევი ქველმოქმედება. სახარებისეული მიდგომაა, რომ "როცა შენ გასცემ მოწყალებას, დაე, ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა". ასე თესდა სიკეთეს ეს ბუმბერაზი პიროვნება აქამდეც, თუმცა იმთავითვე იცოდა, რამდენი ადამიანი უღალატებდა მას მომავალში. ასე იქცევა დღესაც ბიძინა ივანიშვილი. ეს მიდგომა მხოლოდ მოწყალებასა და ქველმოქმედებას ეხება და არა ღალატისთვის გაცემულ ვერცხლს, რომლებსაც ქართველი ხალხი, ქვეყნის მტრებს, სულ გროშებად და კაპიკ-კაპიკ დავუთვლით.

ამ ისტორიული მოგების შემდეგ, გესლით ინტოქსიკაცია დაემართათ "ასპიტებსა" და "ვასილისკოებს" და მინდა მათ ვუსურვო, რომ ბორელს ებარებოდნენ! ის გადმოუგდებს მორიგ ვერცხლს, ნუ ინერვიულებენ, ოღონდ, ჩვენი გმირი ბიჭების ჯიბეებში ხელების ფათურს თავი დაანებონ. ასევე, ნუ ეცდებიან ბიძინა ივანიშვილის ფსიქოტიპის უშედეგო ამოხსნას, რადგან ამას უსამშობლო განსულიერებული არსება ვერ ჩაწვდება!

ბევრს ეცადნენ, რომ ბუდუ ზივზივაძის პიროვნება საზოგადოების განხილვის საგნად ექციათ, მაგრამ დამტკიცდა, პირველ რიგში, მისი ქართველობა, რაშიც არც არავის ეპარებოდა ეჭვი! ამ ბიჭის "დემონიზაციაზე" მუშაობდა ჩვენი ლიბერალური ფაშიზმის ბოროტების მანქანა. მათი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ქართველი ამოერიცხათ ეროვნული ნაკრებიდან, ქართული ფეხბურთიდან, ჩვენი საზოგადოების ამ მნიშვნელოვანი ნაწილის მორიგ გენმოდიფიცირებულ სეგმენტად გარდაქმნის მიზნით.

რადიკალების მიზანია, ყველა და ყველაფერი ქართული, ნიჭიერი და ეროვნული გადააქციონ უფერულ, უსამშობლო, განსულიერებულ ბიომასად. მათი ძირითადი სამიზნე სწორედ წარმატებული ქართველები არიან. დიდი ხანია, ნადირობდნენ და ცდილობნენ თუნდაც, ბუდუს "ვამპირიზაციას", მაგრამ ბუდუმ თავისი ქართველობით მათზე გაიმარჯვა!

– ანა წითლიძემ, ლევან ბეჟაშვილმა, ალექსეი გონჩარენკომ და მათმა მხარდამჭერმა რამდენიმე პოლიტიკოსმა, ევროსაბჭოს რეზოლუციის პროექტში შესწორება დააინიცირეს. რომლის მიხედვითაც, საქართველოსთვის ევროსაბჭოს წევრობის შეზღუდვა მოითხოვეს. მათი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა, მაგრამ ბრიუსელი მაინც „შეშფოთებულია“ და საქართველოს ხელისუფლებას მოქმედების კურსის შეცვლისკენ მოუწოდებს...

– ეს მოღალატეები რუსებს უბიძგებდნენ, ფაქტობრივად, რომ ბომბები დაეშინათ საქართველოს თავზე, რის გარეშეც საკუთარი "ქართველობა" ეუხერხულებოდათ. რაც ახლა მათ ჩაიდინეს, ეს მხოლოდ "მცირე ღალატია", თუნდაც იმ რეალობის გათვალისწინებით, როცა მათ საკუთარი ჯარი მოსკოვთან ომის დაწყებაში დაადანაშაულეს. 2008 წლის აგვისტოში, "წითელი ხიდის" მიმართულებით გასაქცევად ერთმანეთს ასწრებდნენ და მათგან რა უნდა გაგვიკვირდეს? ევროსაბჭოდან გარიცხვა კი არა - მათი ნება რომ იყოს, სათითაოდ ბოძზე ჩამოგვკიდებდნენ, როგორც ამას მათივე უსულო და უსამშობლო ერთი რიგითი არაკაცი გვიპირებოდა. ამათ "შარიათის" სასამართლოს გარდა, არაფერი უშველით, მაგრამ სადაა! ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, ის არის, რომ მათ მოდგმას ჩვენი შვილები, მეგობრები და ახლობლები სათოფეზე არ უნდა გავაკაროთ!

ვიკითხოთ, ერთი, შეუძლია თუ არა „ოფშორმედიას“, რომ ჩვენი დროის ათ-ათი, მსოფლიოში განთქმული და აღიარებული ლატვიელი, ლიეტუველი, ესტონელი, მოლდოველი ან სულაც, უკრაინელი ადამიანი ჩამოგვითვალოს და შემდეგ, იმავე რაოდენობის ქართველს შეადაროს! ჩვენი წარსულის გამორჩენილ მწერლებზე, პოეტებზე, მსახიობებზე, რეჟისორებზე, კომპოზიტორებზე, სპორტსმენებზე, პოლიტიკოსებზე, მხატვრებზე ხომ საერთოდ არაა საუბარი.

თუნდაც აქედან გამომდინარე მივხვდებით, საკუთარი სამშობლოს მიმართ რა დონის ბოღმა ბუდობს მათში და რის გაკეთებას აღარ კადრულობენ საკუთარი არასრულფასოვნებისა და სხვა ტიპის კომპლექსების დასაფარად. ერთადერთი, რაშიც შეუდარებელნი და განუმეორებელნი არიან, ეს არის ლაქიაობა, მარიონეტობა და ვასალობა,

რის ხარჯზეც ჩვენს წარმატებული მომავლისკენ მიმავალ ქარავანსაც უყეფენ.

შორს ვარ ციხეში არსებული იერარქიული "მეცნიერებისაგან", მაგრამ "პეტუხებისა" თუ "ფრაერების" აღლუმი ვინმეს გაუგია?! „ოროსნების“ დროებითი "პარადი" „ხუთოსნებზე“ კი - რამდენიც გინდათ, მაგრამ ესეც მათი ასაკობრივ-ჰორმონალური აფეთქებების მილევამდე. ეშმაკმა რამდენ ხანს იბატონა გადარინელ შეპყრობილზე? - მანამ, სანამ უფალმა მასში გადაჭარბებით არსებული "ლეგიონი" ღორების კოლტში არ გადაასახლა. ამიტომ, ყოველდღიური ყურადღება უცხოელების მორიგ აღშფოთებულ შეშფოთებაზე - ჩვენი ნაცღორების კოლტს დავუტოვოთ.

– ბატონო დავით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა პარლამენტში, ოპონენტების უდიდესმა ნაწილმა საჭიროდ არ მიიჩნია. დავიჯერო, მასთან შეკითხვაც კი არ გააჩნდათ?

– და რა, რა უნდა ეკითხათ სექტანტებს და მათ მიერ გამოზრდილ საკუთარ ნაშიერებს?! იკითხავდნენ, ალბათ, ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლები ვჭამოთო?! მე კი მათ ვუპასუხებდი, რომ: თქვენ - არა, თქვენ გააგრძელეთ იმის ჭამა, რასაც აქამდე მიირთმევდით, დანარჩენები კი უკვე დღეს ვგრძნობთ ამ ეკონომიკურ სტაბილურობას მშვიდობიანი ცის ქვეშ და კრიზისული გლობალური კატაკლიზმების მიღმა!

წელს, ჩემთვის ყველაზე თვალსაჩინო იყო ულამაზესი მონაკვეთის გავლა რიკოთიდან სამტრედიამდე, რაც ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში ძალიან მომაბეზრებელი და არაკომფორტული გახლდათ დასავლეთ საქართველოში წამსვლელი ადამიანისთვის. თუნდაც ეს ერთი თვალსაჩინო მაგალითი ქმნის და ემსახურება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას. უკვე ამ ეტაპზე მაქსიმალურად დასაშვები სიჩქარით 24 კმ(!) გავიარე მოქმედი გვირაბი, რაც ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ფანტასტიკის სფეროს წარმოადგენდა. რამდენი რამ შენდება კიდევ და რამდენი ობიექტია ექსპლუატაციისთვის გამზადებული უახლოეს მომავალში, ეს ცალკე საკითხია.

წლებია, ჩვენი "დაუძინებელი მეგობრები" გვიკრძალავდნენ მათივე სტრატეგიულ სავაჭრო პარტნიორთან, ჩინეთთან მეგობრობას. ასევე გვიკრძალავდნენ ინდოეთთან, ირანთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას. წლებია, ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური სატრანზიტო პოტენციალი "გლობალური ომის პარტიამ" იძულებით მძევლად აიყვანა. თუმცა, უკვე მთელი სახმელეთო, სარკინიგზო და საზღვაო ინფრასტრუქტურა მოყვანილია მოძრაობაში, რომელმაც (მათ შორის) საქართველოს გავლით, ჩინეთ-ევროპის სავაჭრო წლიური ბალანსი ტრილიონ დოლარამდე უნდა გაზარდოს. ეს კი, სატრანზიტო პოტენციალის გარდა, ნიშნავს უამრავ სასაწყობო-სავაჭრო შესაძლებლობებს თვით საქართველოსთვის. რაც ნიშნავს ათობით მცირე თუ მსხვილი საწარმოს გახსნის შესაძლებლობას; მასშტაბური რეგიონული ბაზრების ამოქმედებას და ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების ჩართვას, ჩვენი საერთო ქვეყნის საბოლოოდ გამთლიანების პერსპექტივით!

აი, ამ ყველაფერს გვიზღუდავდნენ და გვიკრძალავდნენ ჩვენი "დაუძინებელი მეგობრები"! სინამდვილეში "რუსული კანონი" მიზეზი იყო. სწორედ ამ ყველაფრის დაძლევისკენ ჩვენმა მისწრაფებამ მიიყვანა ისინი ფსიქიკური აშლილობის ზღვარზე, რადგან აყვავებული, გაერთიანებული და ძლიერი საქართველო მათ მიზნებსა და გეგმებს საბოლოოდ ასამარებს. თუმცა, მალე პოლიტიკურ საფლავში, ფარაონის დაკრძალვის ცერემონიალის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით, ჩვენ მათ ადგილობრივ ლაქიებსაც ჩავაყოლებთ!

ნონა ქარქაშაძე

ანაკლიის პორტის მშენებლობაში რუსეთი მხოლოდ ჩინეთს არ შეუშლის ხელს

გვესაუბრება პოლიტიკოსი, ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე:

— ბატონო პეტრე, როგორ შეაფასებთ პრემიერის პარლამენტში გამოსვლას?

— ეს იყო პოლიტიკურად სწორად ორიენტირებული გამოსვლა, რაც რეალობას ასახავდა. პრემიერმა ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის, რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზებზე. ასევე, ეკონომიკურ მიღწევებზე. ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას ობიექტურად აფასებენ ის უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც პოლიტიკურად ანგაჟირებულნი არ არიან. შედეგი უწყვეტი ეკონომიკური ზრდაა, რაც მათი მხრიდან მაღალი შეფასებაა, მით უმეტეს, ისეთ რთულ პირობებში, როგორშიც დღეს გვიწევს ცხოვრება. კობახიძეს მხედველობიდან არც სპორტის განვითარება გამორჩენია. მაგალითად, მე ახლაც ვვარჯიშობ და მიხარია, რომ დიდი ქართული სპორტის აღორძინებას მოვესწარი.

— პრემიერის მოხსენებას პარლამენტში დიპკორპუსიდან მხოლოდ უნგრეთის ელჩი ესწრებოდა. ეს რაზე მიუთითებს?

— დიახ, ამ დემარშით კვლავ შეგვახსენეს, რომ მათთვის გამჭვირვალობის კანონი მიუღებელია. ამაზე საუბრობენ სხვადასხვა სტრუქტურაში: ევროპარლამენტში, ევროკომისიაში, ნატო-ში, აშშ-ის კონგრესსა თუ სენატში. ეს თურმე საქართველოს მხრიდან პროდასავლური კურსიდან გადახვევის ნიშანი ყოფილა. ეს ხომ აბსურდია. დასანანია, რომ ევროკავშირში მოლაპარაკებები ოფიციალურად გახსნეს უკრაინასთან, მოლდოვასთან, ხოლო საქართველოსთან მიმართებით ეს საკითხი გაყინეს.

— პრემიერმა თავის გამოსვლაში დრო ჩინეთთან პარტნიორობის თემასაც დაუთმო.

— როგორც დამოუკიდებელ ანალიტიკოსს, უფლება მაქვს, ამ თემაზე ის ვთქვა, რასაც ხელისუფალი ვერ იტყვის. გლობუსზე არსებული არცერთი ქვეყანა, ინვესტორი არცკი იფიქრებს, ანაკლიის პორტის მშენებლობაში ფული ჩადოს, გარდა ჩინეთისა. როგორც იცით, ტრამპის პრეზიდენტობისას საქართველოში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი პომპეო იმყოფებოდა. მან თქვა, თქვენ უნდა ააშენოთ ანაკლიის პორტი, ოღონდ ისე, რომ ჩინეთი და რუსეთი ამ საქმეში არ ჩარიოთო. აშშ-ის წარმომადგენელს რომ ეთქვა: ვაშინგტონი მიიღებს გადაწყვეტილებას და ჩვენი ინვესტორები ამ მშენებლობას დააფინანსებენო, მაშინ მისი განცხადება გასაგები იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ საქართველოს თავისი ბიუჯეტით ამხელა პროექტი როგორ უნდა დაეფინანსებინა?! ყველამ ვიცით, რომ რუსული ტანკები თბილისიდან 30 კილომეტრში დგანან. ანაკლია კი, ზედ საოკუპაციო ხაზზე მდებარეობს. ამ ტერიტორიიდან რუსული ტანკები, რაკეტები ხელის გაწვდენაზეა. ამიტომ მსოფლიოს ვერცერთი ქვეყანა ვერც გაბედავს, არც კი იფიქრებს, ანაკლიაში ინვესტიცია ჩადოს, რადგან მშენებლობის დაწყების შემთხვევაში, შესაძლოა, რუსეთმა ზღვაში სამხედრო ხომალდი დააყენოს. ის აკვატორიას მთლიანად აკონტროლებს. ამერიკელებმა რომ დაიწყონ ანაკლიის პორტის მშენებლობა, რუსეთი ამ ქმედებას იმ დღესვე ჯინაზე, დემონსტრაციულად განახორციელებს. გახსოვთ, 2008 წლის ომის დროს კონდოლიზა რაისი რომ ჩამოვიდა, რუსებმა საპასუხოდ კასპში ხიდი ააფეთქეს და თბილისისკენ დაიძრნენ, კონდოლიზა მაშინვე თვითმფრინავში ჩაჯდა და უკან გაფრინდა. ასე რომ, ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია, გადაწყვეტილებაც მიიღოს, მშენებლობაც დაიწყოს, თან კრემლი კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენს რომ ამას ხელს შეუშლის, ეს ჩინეთია. კრემლი დიდი ხანია, ფაქტობრივად, ჩინეთის ვასალია. ამიტომ მისთვის რაიმე წინააღმდეგობის გაწევა გამორიცხულია. ჩინეთის მხარდაჭერის გარეშე რუსეთი ჩამოიშლება.

უცნაურია დასავლეთის პანიკა: ჩინური კომპანია ანაკლიის პორტს ვერ ააშენებსო. ავიწყდებათ, რომ ხმელთაშუა ზღვის პორტების უდიდესი ნაწილი, მათ შორის, ევროპულისაც, ჩინეთის ხელშია. ჰაიფას პორტიც ჩინეთის ხელშია. რა ხანია, ევროპელი ექსპერტები ხმელთაშუა ზღვას ჩინურ ტბას უწოდებენ. ჩინეთი ამ პორტების დიდ ნაწილში საკონტროლო პაკეტსაც კი ფლობს. ასევე, ჩინეთი ევროკავშირში სატრანსპორტო ჰაბების დიდ ნაწილსაც დაეუფლა. ევროკავშირისა და ჩინეთის ვაჭრობამ კი დღეში ორ მილიარდ ევროს გადააჭარბა. ამის მერე როგორ კადრულობენ, რომ გვეუბნებიან, ააშენეთ პორტი, ოღონდ ჩინეთის გარეშეო. ამ მარაზმმა ისევე, როგორც უსამართლობის დონემ, ზღვარს მიაღწია. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სი ძინპინი აშშ-ში ვიზიტისას, ამერიკის ფინანსურ ელიტას, მილიარდერებს, დიდი კორპორაციების ხელმძღვანელებს შეხვდა. იმ დარბაზში მოსახვედრი ბილეთი 20 ათასი დოლარი ღირდა. სი იქ რომ შევიდა, ყველა ფეხზე წამომდგარი უკრავდა ტაშს, რაც მერე ოვაციებში გადაიზარდა, თავი ბრეჟნევის ყრილობაზე გეგონებოდათ. აშშ-ს ჩინური ინვესტიციები ჰაერივით სჭირდება. ამის მერე ბედავენ და ჩვენ გვსაყვედურობენ, რატომ აშენებს ანაკლიის პორტს ჩინური კომპანია. ამას ორმაგი სტანდარტიც აღარ ჰქვია.

— კობახიძემ გამოსვლისას ბოლო ოთხი წელი და ოპოზიციის ბოიკოტიც გაიხსენა. სხვათა შორის, ოპოზიცია, რომელიც პრემიერის გამოსვლასაც არ ესწრებოდა, ახლაც ბოიკოტის რეჟიმშია.

— თქვენ იცით, რომ შეცდომების დაშვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ კრიტიკას არ ვერიდები. მაგრამ ამ ხალხს ოპოზიციას ვერ უწოდებ, ეს ყოვლად მცდარი და მავნებლურია. ოპოზიცია ნიშნავს პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც ეროვნული ინტერესების ერთგულნი არიან, მის უსაფრთხოებას იცავენ, თუმცა რიგ საკითხებზე ხელისუფლებისგან განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ასეთი ოპოზიცია საქართველოს ჰაერივით სჭირდება. ჩვენ რას ვხედავთ? — ადამიანებს, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს მტრობენ და ცდილობენ, ქართულ სახელმწიფოს ნებისმიერი გზით მაქსიმალური ზიანი მიაყენონ. რა ჰქვია იმ პოლიტიკოსს, რომელიც უცხოეთში გარბის და საკუთარი ქვეყნისთვის სანქციების დაწესებას ითხოვს?! ეს ხომ ღალატია.

მათ ოპოზიციას ნამდვილად ვერ დავარქმევთ.

ქვეყნის ღალატის „სანიმუშო“ მაგალითია მათი ახალი ლიდერიც — პრეზიდენტი ზურაბიშვილი. მან ანტისახელმწიფოებრივი, ღალატის ტოლფასი ქმედება ჩაიდინა, როცა დიპკორპუსს მოუწოდა, თქვენთვის არჩევანის დრო უკვე დადგა, ანუ, ყველანი გადადექითო. ეს იგივეა, პრეზიდენტმა, მთავარსარდალმა ფრონტის ხაზზე მყოფ ოფიცრებს, ჯარისკაცებს რომ მიმართოს, დაყარეთ იარაღი და სახლებში დაბრუნდითო. ელჩებს მართლა რომ დაეჯერებინათ და გადამდგარიყვნენ, ქვეყანა არჩევნებამდე დიპლომატების გარეშე რჩებოდა, წარმოგიდგენიათ?! ეს არის დანაშაული, ღალატი. დიახ, კობახიძემ გაიხსენა არჩევნების შემდგომი ბოიკოტი. ნურც სააკაშვილის და ბიძამისის მონოლოგები დაგვავიწყდება ძალაუფლების ხელში აღებასთან დაკავშირებით, ანუ გადატრიალებისკენ მოწოდებები. სად იყო მაშინ დასავლეთი?! თუმცა, დასავლეთს რა უნდა მოვთხოვოთ, როცა იქაურ პრესაში იწერებოდა, როგორ კლავდნენ სააკაშვილს წამებითა და შიმშილით.

საინტერესოა, დასავლეთიდან ვინმემ დაგმო პარლამენტის შენობაზე განხორციელებული ვანდალიზმი, მოლოტოვის კოქტეილების სროლა, პოლიციელების ლამის ცოცხლად დაწვა, რა დროსაც ექვსი პოლიციელი მძიმედ დაშავდა. ბოლო მოვლენებზე „დოიჩე ველემ“ დაწერა, პოლიცია დემონსტრანტებს სასტიკად გაუსწორდაო. ამ დროს პოლიციელები ეზოდანაც არ გამოსულან! საინტერესოა, სასტიკად ერთმანეთს უსწორდებოდნენ?!

დასავლეთში დიდი სულიერი კრიზისია და ფასეულობების გადაფასება ხდება. როგორც ვიცით, საფრანგეთში ვადამდელი არჩევნები დაინიშნა. რეიტინგების მიხედვით, პირველ ადგილზე ულტრამემარჯვენეები, მეორეზე — ულტრამემარცხენეები, ხოლო მაკრონის პარტია მესამე ადგილზეა, თანაც წინამორბედებს დიდი სხვაობით ჩამორჩება. მაკრონმა ხალხს მიმართა, თუ ამ ორ პარტიას დაუჭერთ მხარს და არა ჩვენ, საფრანგეთში სამოქალაქო ომი დაიწყებაო. გესმით, რა ხდება?! დასავლელი სპეციალისტები წერენ: დასავლეთში პოსტჭეშმარიტების ხანა დადგაო. დიახ, ჭეშმარიტება დაიკარგა, ფაქტი ინტერპრეტაციებმა, ფანტაზიებმა შეცვალა. ეს ისაა, რასაც ახლა მთელი მსოფლიო იმკის. ყურადღება მივაქციოთ საქსის წერილს: „გთხოვთ, უკრაინას თავი დაანებეთ“, რითაც აშშ-ს მიმართავს. მან წერილი კისინჯერის სიტყვებით დაიწყო: თუ აშშ-ის მტერი ქვეყანა ხარ, ეს ძალიან სარისკოა, მაგრამ თუ მეგობარი ხარ, ეს ფატალურია. ჩვენს პატარა სამშობლოს გიგანტებთან ურთულეს ბრძოლაში გამარჯვება ვუსურვოთ.

— როგორ ფიქრობთ, დასავლეთი არჩევნებამდე საქართველოსთან მიმართებით რა ნაბიჯებს გადადგამს?

— რთული სათქმელია. აქ გასათვალისწინებელია ოპოზიციის დესტრუქციული, ანტიეროვნული ქმედებები. თუმცა საქართველოს მიმართ ტოტალური ბლოკადის დაწყებას მაინც არ ველი. აქვე მნიშვნელოვან რამეს გეტყვით: ჩემი მონაცემებით, დასავლეთის პოლიტიკური ელიტები გამჭვირვალობის კანონის მიღებაზე მეტად იმას განიცდიან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაბედა და ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონპროექტების განხილვა დაიწყო, რითაც დასავლეთისთვის საკრალურ თემას შეეხო. ეს ლაკმუსის ქაღალდია. გვინდა, ევროპაში მიგვიღონ? — მაშინ გამოცდა უნდა ჩავაბაროთ და სკოლებსა თუ ბაღებში ლგბტ პროპაგანდა დავუშვათ. აი, მაშინ ნამდვილად „მათიანები“ გავხდებით და დასავლეთისკენ გზაც ხსნილი გვექნება. ამას ლგბტ უფლებების დაცვასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ვინმემ მითხრას, საქართველოში როდის და როგორ დაირღვა ლგბტ ადამიანების უფლებები?! აქვე, ერთ ფაქტს გაგახსენებთ: ევროკომისიის ხელმძღვანელად იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა უნდა დამტკიცებულიყო. მას ჰკითხეს: უჭერდა თუ არა მხარს ერთსქესიანთა ქორწინებას, რაზეც პასუხად უარი მიიღო. შედეგად, იგი, პოსტზე აღარ დაამტკიცეს. მის მთავრობასაც უარი უთხრეს. ანუ, ლგბტ პროპაგანდა — ეს პირდაპირი საშვია ევროპაში. ჩვენ გვეუბნებიან, ა, თქვენ ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონპროექტებს იხილავთ, მაშინ თქვენი ადგილი ევროპაში არ არისო. 2021 წლის 17 მაისს ამერიკის საელჩო ქაბულში, ავღანეთში მთლიანად ლგბტ ფერებით შეიმოისა, ფრიალებდა ლგბტ დროშები. აშშ-ის ელჩმა გამოაცხადა, რომ ქაბულში მთელი ივლისი ლგბტ თვე იქნებოდა. ამერიკელი ექსპერტები ერთმანეთს ენაძლევებოდნენ, რამდენ ხანში აიღებდნენ თალიბები ქაბულს და ამ საელჩოს. ამისთვის სამი თვე დასჭირდა. მერე რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით. ასეთი ქმედებების განხორციელება, სულ სხვა კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაში, ყელის გამოჭრის ტოლფასია. თალიბებს ამის გამო არ გაუმარჯვიათ, თუმცა აშშ-მა იმდენი ქნა, რომ მოსახლეობა თალიბების მხარეს გადავიდა.

თამარ შველიძე

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე:

— სანამ კონკრეტულ შეკითხვაზე გიპასუხებთ, მინდა, ჩემი დიდი მეგობრის, არაჩვეულებრივი ადამიანის, ბატონი ვახტანგის მიმართ მადლიერება გამოვხატო. ვერასდროს დავივიწყებ მის სიკეთეს, იმ პერიოდს, როცა ბატონმა ვახტანგმა თავისი მართალი სიტყვით თავისუფლებისთვის ბრძოლაში ქვეყანას, თითოეულ ჩვენგანს გზა გაგვიკვალა. მისი ღვაწლი რომ არა, ახლა თქვენთან ვერ ვისაუბრებდი და ვერც ჩემს შთაბეჭდილებებს გამოვხატავდი. მინდა გითხრათ, რომ მენატრება ბატონი ვახტანგი, მისი გულწრფელი, პატრიოტიზმით აღსავსე, სამშობლოს სიყვარულით ანთებული გამოხედვა. იგი მთელ ქვეყანას დააკლდა. სადაც უნდა იყოს, მინდა, მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანებს საშუალება მოგვცა, თავის ეროვნულ გაზეთში მართალი სიტყვით სამშობლოსთვის გვებრძოლა. დიახ, იმ სამშობლოსთვის, რომელმაც დღეს მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ მშვიდობიანი პოლიტიკის წარმართვით ახალი საქართველო იბადება. ჩვენ ისეთი საქართველო უნდა ავაშენოთ, რომლითაც მარტო ქართველები კი არა, მთელი მსოფლიო იამაყებს.

ქართულმა გენმა მსოფლიო აალაპარაკა

2012 წელს გამარჯვებისკენ პირველი ნაბიჯი გადავდგით. ეს დიდი ბრძოლით მოვიპოვეთ, რაშიც უდიდესი წვლილი სწორედ ბატონმა ვახტანგმა შეიტანა. ჩვენ ამ გზაზე ერთად ვიბრძოდით და გავიმარჯვეთ. მსოფლიო ახალ წესრიგზე გადასაწყობად ემზადება. ვითარება უმძიმესია.

დღეს მთელი მსოფლიო ავალაპარაკეთ. სწორედ ხელისუფლების მიერ წარმოებული სწორი, გონივრული პოლიტიკის შედეგია ის, რომ ქართულმა გენმა მსოფლიო აალაპარაკა. წინ კიდევ ბევრი გამარჯვება გველის. სახელმწიფოს სწორ პოლიტიკას შედეგი ყველა სფეროში მოაქვს, მათ შორის, სპორტში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი წარმატების ავანგარდში სპორტი ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებდა. როცა ხალხი ხარობს, ერი ამ სიხარულის გარშემო ერთიანდება. ეს სიხარული მაშინ ფასობს, როცა ქვეყანაში მშვიდობა, სტაბილურობა სუფევს.

ამ გამარჯვებებს საძირკველი სწორედ ბატონი ვახტანგის სადარმა ადამიანებმა ჩაუყარეს. მინდა, ქედი მოვიხარო მისი, მისი ადამიანობის წინაშე, კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა მას ამ კეთილი საქმის წამოწყებაში, სამშობლოსთვის უანგარო ბრძოლაში, პატრიოტიზმით ანთებულ გულში და თქვენც — მის ოჯახს, კოლექტივს იმისთვის, რომ მის დაწყებულ საქმეს, თავისუფალი სიტყვისთვის ბრძოლას განაგრძობთ. ნიშანდობლივია, რომ ამდენი ბრძოლების მერე, საქართველოს გამარჯვებაზე ვსაუბრობთ. მინდა, მოგილოცოთ ეს დიდი გამარჯვება, რადგან თქვენც ამის თანამონაწილე ხართ.

— ლუკა, გვითხარით, რა ემოცია გქონდათ, როცა საქართველოს ნაკრებმა ქვეყანას პირველი გამარჯვება მოუტანა?

— ფეხბურთს ასე მხურვალედ წლების მერე პირველად ვუგულშემატკივრე. თბილისის „დინამოს“ ისტორიული, დიდი გამარჯვებების მერე, აღარ გამჩენია შეგრძნება, რომ ფეხბურთის ქართული გუნდისთვის მექომაგა. წლებია, ჩემპიონატებზე ზოგი ქართველი იტალიის გუნდს გულშემატკივრობს, ზოგი გერმანიის, ზოგი ესპანეთის... აქამდე, ქართველისთვის რომ გეკითხა: ვის გულშემატკივრობო, გეტყოდა: „მადრიდის „რეალს“, „ბარსელონას“, „მანჩესტერსო“. თუ იკითხავდით, კონკრეტულად რომელი ფეხბურთელის ფანი ხარო, აუცილებლად გიპასუხებდათ, რონალდუს ან მესისო. საქართველოს გუნდს ვგულშემატკივრობო, ამას ვერსად გაიგონებდით. ახლა კი ქართველები კვარაცხელიას, მიქაუტაძის, მამარდაშვილისა და სრულიად ნაკრების ბიჭების გულმხურვალე გულშემატკივრები არიან. მსოფლიო გუნდების დიდი თამაშით ბევრჯერ აღვფრთოვანებულვარ, მაგრამ ჩემი სამშობლოს გუნდი ასეთი გამარჯვებისგან შორს იყო. ახლა კი ჩვენმა ბიჭებმა მთელი საქართველო გააერთიანეს. აქ ყველა ერთიანი იყო — დიდიც და პატარაც, პოზიციაც და ოპოზიციაც, ისინიც კი ჩაერთნენ პროცესებში, ვინც ფეხბურთს საერთოდ არ უყურებდა. ეს მხოლოდ ფეხბურთი კი არა, ქართული სულის ხმამაღალი ყიჟინა იყო — მთელ მსოფლიოს დავანახეთ, როგორი ძლიერები ვართ. ეს თითოეული ქართველის გამარჯვებაა. ბედნიერი ვარ იმით, რომ თურმე ქართველებს, მიუხედავად აზრთა რადიკალური სხვადასხვაობისა, ერთმანეთის გვერდში დგომა, ერთიანობა შეგვძლებია. ეს სიხარულიც ამ ერთიანობამ მოგვიტანა. ემოციის გარეშე ამ უდიდეს გამარჯვებაზე საუბარი მიჭირს. განსაკუთრებით გამორჩეული იყო ქართველი ემიგრანტების გულშემატკივრობა, რომელთაც სამშობლო ენატრებათ. ამ გამარჯვებამ არამარტო საქართველოში მცხოვრები, არამედ მთელს მსოფლიოში მიმოფანტული ქართველები გაგვაერთიანა. მინდა, ჩვენს გმირ ბიჭებს უფლის წინაშე მადლობა შევწირო იმისთვის, რომ მთელ მსოფლიოში მცხოვრები ქართველები ასე ერთ მუშტად შეკრეს.

— თქვენ ახსენეთ, ეს გამარჯვება ხელისუფლების მშვიდობიანი პოლიტიკის შედეგიც არისო. სხვა რა ფაქტორებმა განაპირობა წარმატება?

— გარდა იმისა, რომ ბიჭებმა მთელი ქართველობა ერთ მუშტად შეგვკრეს, წარმატების ფორმულა ისიც არის, რომ თავად გუნდიც ერთ მუშტად იყო შეკრული. მე პროფესიონალი სპორტსმენი ვარ და ეს შეგრძნებები ჩემთვის უცხო არ არის. ყველაზე მთავარი შეგრძნება პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარულია, რაც თითოეულ ქართველს გააჩნია. ქართველების მიღწევებზე დღეს მსოფლიო პრესის ფურცლებიდან საუბრობენ. და არ დაგვავიწყდეს მოტივაცია, რაც ყველაზე დიდი სტიმულია. მოტივაცია გუნდს ხელისუფლებამ მისცა, როცა გულშემატკივრის გერმანიაში ჩასვლას კოორდინირება გაუწია. აქამდე, ასეთი პრეცედენტი არასდროს ყოფილა — ათასობით ქართველისთვის ჩარტერული რეისები განხორციელდა, რისი თანადამფინანსებელიც სახელმწიფო იყო. მეორეც, ევროპაში უვიზოდ გადაადგილება რომ შეგვიძლია, ესეც ხელისუფლების მართებული პოლიტიკის დამსახურებაა. და, რაც მთავარია, ყველაზე დიდი სტიმული ბატონი ბიძინას მიერ გაწეული ქველმოქმედება იყო. საქართველოში დაბრუნებული გუნდი მილიონერი ხდება. ეს უდიდესი სტიმულია — შრომით და ბრძოლით მოპოვებული გამარჯვება რომ ასე გიფასდება, ეს უსაზღვროდ დასაფასებელი რამაა. მე მსოფლიო ჩემპიონი ვარ და კარგად ვიცი, ეს რასაც ნიშნავს. ეს უდიდესი ძალა, ქართული სპორტის და ყველა გულშემატკივრის დაფასებაა. ამ საქციელით ბატონმა ბიძინამ, „ქართუ ჯგუფმა“ ქართველების განცდილი სიხარული დააფასა. ეს ღვაწლი განუზომელია. აღფრთოვანების მეტი რა გამოვხატო მის მიმართ. ეს სიკეთე მემილიონედია იმ სიკეთეებს შორის, რაც ბიძინა ივანიშვილს ქვეყნისთვის გაუკეთებია. მსოფლიოში ბატონ ბიძინაზე უფრო შეძლებული ადამიანებიც არსებობენ, მაგრამ ასეთი ქველმოქმედებისგან შორს დგანან. რამდენს ნიშნავს, როცა უკან ბრუნდები და აცნობიერებ, რომ შრომა დაგიფასდა და ოჯახიც უზრუნველყოფილი გეყოლება.

როგორც პროფესიონალი მსოფლიო ჩემპიონი, ერთ რამეს გეტყვით: უდიდესი მნიშვნელობა აქვს გულშემატკივრის ქომაგობას თუნდაც დარბაზში უბრალო ვარჯიშის დროს. ეს უდიდესი ძალაა, რაც თავადაც მიგრძვნია. მით უმეტეს მაშინ, როცა ევროპის ჩემპიონატზე გამოდიხარ და მთელი სტადიონი ქართული დროშებით გესალმება. ქართველისთვის ეს უდიდესი ძალაა, როცა გრძნობს, რომ მისი სამშობლო აძლიერებს. ქართველმა ფეხბურთელებმა გმირობა ჩაიდინეს. ძალიან პატარა ვიყავი, როცა თბილისის „დინამომ“ გაიმარჯვა. მახსოვს, კოტე

მახარაძის ემოციები, რაც მთელს ერს გადაედო. ზემოთაც აღვნიშნე, თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრობის მერე მე ქართული ფეხბურთისთვის აღარ მიგულშემატკივრია, თითქოს გამარჯვებებიც მინელდა. ამის შემდეგ ქვეყანამ ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა, უფინანსობა, ომები. შემდეგ, ეს სპორტი ნელ-ნელა ისევ აღორძინდა და დღეს, მრავალი წლის მერე, ქართულ ფეხბურთს პირველად ვუგულშემატკივრე.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როცა ამ სიხარულის შემოქმედი შენი ქვეყნის გუნდია, რომელმაც მსოფლიოში უძლიერესი — პორტუგალიის გუნდი დაამარცხა, მას შანსი არ დაუტოვა. ქართველი ფეხბურთელები ბოლო წამამდე მედგრად იბრძოდნენ. როგორც კი პორტუგალიასთან პირველი გოლი გაიტანეს, რამდენიმე წუთი თამაშს დავაკვირდი და ვთქვი, რომ საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებდა. ამის თქმის საფუძველი გუნდის მონოლითურობამ, ბრძოლის საოცარმა ჟინმა მომცა. ბიჭებმა ირწმუნეს, რომ დაუმარცხებელი არავინ არის და მსოფლიო დონის ფეხბურთელების სახტად დატოვება სავსებით შესაძლებელია. სანიოლიმ მათ უთხრა, ისე ეთამაშათ, როგორც 17-18 წლის ასაკში და არ ეფიქრათ იმაზე, რომ გამკლავება საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან უწევდათ, რამაც გაამართლა და გუნდმა ბოლომდე იბრძოლა. მათ შეუძლებელი შეძლეს.

— სანიოლი უდავოდ ბრწყინვალე ტაქტიკოსი და სტრატეგიკოსია. თუმცა მას რიგ საკითხებში აკრიტიკებდნენ.

— ჩვენ ვერ შევიმეცნეთ ერთი უდავო ჭეშმარიტება, რომ პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი აზრია. თამაშის დროს პასუხისმგებელი სტრატეგი მთავარი მწვრთნელია. მან ყველას აზრის გათვალისწინება რომ დაიწყოს, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება?

— ლუკა, ამ გამარჯვებამ ევროპისკენ გზა რამდენად გაგვიკვალა?

— ბუნებრივია, გაგვიკვალა. ეს მხოლოდ სპორტში მიღწეული გამარჯვება არ გახლავთ. ჩვენ არაერთხელ აღმოვჩნდით უსამართლობის მსხვერპლი. საქართველოში მყოფ ბორელს ღარიბაშვილმა უთხრა კიდეც, რომ ქართველები უსამართლობას ვერასდროს შევეგუებით.

ჩვენ ახლა ვყალიბდებით, როგორც სახელმწიფო. ძველი ევროპა საუკუნეების განმავლობაში გადიოდა ამ გზას. საქართველო რამდენიმე ათეული წელია, რაც დამოუკიდებელია. დამოუკიდებლად ყოფნის პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ პირველად დააფიქსირა თავისუფალი აზრი, ხაზი გაუსვა ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს. თავისუფლებაც ესაა.

— ბოლოს, რას უსურვებთ საქართველოს ნაკრებს?

— პირველ რიგში ვუსურვებ, როგორც ახლა, ისე იყვნენ ერთ მუშტად შეკრულნი და ბრძოლა გააგრძელონ. მადლიერი იყვნენ სახელმწიფოს მხარში დგომისა. როცა ადამიანი მადლიერი ხარ, ყველაფერს შეძლებ.

თამარ შველიძე

ტრამპისა და ბაიდენის დებატებს რომ ვუყურე, შემეშინდა...

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე:

— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინ მსოფლიო ბაიდენისა და ტრამპის დებატებს ადევნებდა თვალს. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— როცა ბაიდენმა ტრამპი დებატებში გამოიწვია, პრეზიდენტის გუნდი საგონებელში ჩავარდა. როგორც ჩანს, ჯერ ეს გადაწყვეტილება მათთან დაუკითხავად, საკუთარი ინიციატივით მიიღო. რაღა უნდა ექნათ, მოქმედი პრეზიდენტი სიტყვას უკან ხომ ვერ წაიღებდა?! საუბარი იყო იმაზე, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები დებატების მსვლელობისას სავარძლებში მსხდარიყვნენ, რადგან ბაიდენი ასაკიდან და დემენციიდან გამომდინარე, კარგ ფორმაში არ გახლავთ. დებატებს წინ სერიოზული მზადება ახლდა. საუბარი იყო ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენებაზეც, რათა ბაიდენს ტვინის მუშაობა დროებით გაუმჯობესებოდა, რადგან მას გამოხატული დემენციის ნიშნები აქვს. ასე თუ ისე, დებატები შედგა და მთელმა ამერიკამ თვალნათლივ დაინახა, რომ ბაიდენი პრეზიდენტის პოსტისთვის შესაფერის კონდიციაში არ არის. კომიკური იყო მისი გამომეტყველებაც — ჟურნალისტს, რომელიც კითხვას სვამდა, დამფრთხალი მისჩერებოდა. გარდა ამისა, განუწყვეტლივ იტყუებოდა და წინასწარ დაზეპირებულ ფრაზებს იმეორებდა. ამერიკელი ამომრჩეველი იმდენად უკმაყოფილო დარჩა, რომ სიენნმაც კი კატასტროფული მონაცემები გამოაქვეყნა — 67%-33%-ზე ტრამპის სასარგებლოდ. მოგეხსენებათ, სიენნ-ი გლობალური კორპორაციების, „დემოკრატიული პარტიის“ რუპორია და ობიექტურობით არ გამოირჩევა. საკმაოდ კომიკურად გამოიყურებოდნენ სიენნ-ის წამყვანებიც, რომელთა მოლოდინიც ბაიდენმა ვერ გაამართლა და ისინი ღია ეთერში მოსთქვამდნენ.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატებისთვის ტრამპი ღამის კოშმარია. მის მიმართ ზიზღთან შერეული შიშის გრძნობა აქვთ. შესაბამისად, ბაიდენის გამოსვლა, მათთვის სრული შოკიც იყო და საშინელი იმედგაცრუებაც. დემოკრატების რიგებში პანიკაა. დებატების პროცენტული მონაცემები გაცილებით უარესად გამოიყურება, ვიდრე ეს სიენნ-მა გვამცნო. მაგალითად, არამეინსტრიმული მედიის მონაცემებით, ბაიდენმა დებატები პირწმინდად წააგო.

— საუბრობენ, რომ დემოკრატებმა, შესაძლოა, თავიანთი კანდიდატი შეცვალონ...

— ჩემი აზრით, ბაიდენს ვერ შეცვლიან. მას 14-მა მილიონმა დემოკრატმა, პრაიმერიზზე კარტ-ბლანში მისცა. თუ ბაიდენი კვლავ ორ ფეხზე იდგება და მოძრაობა შეეძლება, მას „დემოკრატიული პარტიის“ კანდიდატად აუცილებლად წარადგენენ. რადგან ძნელად დასაჯერებელია, მისი ადგილი მიშელ ობამამ დაიკავოს. მიშელ ობამაზე აშშ-ში ბევრი უარყოფითი ნარატივი არსებობს. მეტიც, მიაჩნიათ, რომ ის კაცია. მის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე დოკუმენტური ფილმებია გადაღებული. ბარაკ ობამასთან ოჯახი, სპეციალურად, იმიჯისთვის შექმნა. ასევე, ბარაკ ობამაზეც არსებობს მასალები. მისი წარსულში ჩადენილი „გმირობების“ დასამალად იმ ადამიანებს იშორებდნენ, ვინც ამის შესახებ იცოდა და ჩვენებებს აძლევდა. ანუ, მიშელ ობამას ასპარეზზე გამოყვანა მიზანშეწონილი არ იქნება. არსებობს კიდევ ერთი კანდიდატურა — კალიფორნიის ულტრალიბერალი გუბერნატორი, გევინ ნიუსომი, რომელმაც კალიფორნია — ეს სამოთხე, ნარკომანებისა და დანაშაულებრივი ბანდების თარეშის არეალად გადააქცია.

— თავად ტრამპი რამდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდა და მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე რას გვეტყვით?

— ტრამპი ბევრად დამაჯერებლად გამოიყურებოდა, ვიდრე მისი ოპონენტი. ბაიდენი ციფრებით მანიპულირებდა. გასაკვირია, ესეც რომ შეძლო. თუმცა მთელ რიგ ასპექტებში დაბნეული იყო. მან საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ტრამპი კი თავდაჯერებული გახლდათ და, მიუხედავად ასაკისა, ქმედუნარიანად გამოიყურებოდა. კომიკური იყო ბაიდენის საუბარი საკუთარ სპორტულ ფორმაზე. წინასწარ დაზეპირებული ფრაზებით საუბრობდა, რაც კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო. გარდა ამისა, ბაიდენმა ძველი რომის სენატში დადგენილი წესი არ გაითვალისწინა. კერძოდ, ვინც კამათისას ლანძღვას პირველი იწყებს, ის ყოველთვის დამარცხებულია. მის მიერ ოპონენტის ლანძღვამ მძიმე რეაქცია გამოიწვია. მან, ასევე, პირველმა გააჟღერა ტრამპის მიმართ ბრალდება: ცნობილ პორნოვარსკვლავთან ჰქონდა სექსუალური კავშირი მაშინ, როცა მეუღლე ორსულად ჰყავდაო. ამ ისტორიის მთელი კომედია იცით, რაში მდგომარეობს? — ყველაფერი პორნოვარსკვლავის, ანუ მეძავის ჩვენებაზეა აგებული. ის საკუთარ სხეულს ფულზე ყიდის და ხომ ბუნებრივია, რომ უფრო დიდ ფულზე საერთოდ ყველაფერს გაყიდის. ნეტავ, რამდენი გადაუხადეს, რომ ტრამპთან სექსუალურ ცხოვრებაზე, თან დამამცირებელი ფორმით, ასე მხიარულად საუბრობდა?! ამით სურდათ, ტრამპისთვის ის მასკულინური იმიჯიც წაერთმიათ. საუბარი იყო იმაზეც, თითქოს ამ ქალის გასაჩუმებლად, ტრამპის საარჩევნო ფონდიდან მისმა გუნდმა ფული გადაიხადა. ტრამპმა ეს იცოდა და კანონი შეგნებულად დაარღვიაო, რისთვისაც მას 125 წელი მიუსაჯეს. ეს საქმე მთლიანად შეთხზეს. უამრავი ამერიკელისთვის ეს საქმე პოლიტიკური დევნის ხასიათს ატარებს. სხვათა შორის, ბაიდენისთვის დებატების ასეთი მძიმე შედეგებით დასრულება ამითაც არის განპირობებული.

რაც შეეხება ბაიდენს, მას ბრალი ედება იმაში, რომ პოროშენკოს პირდაპირ აძალებდა, უკრაინელი პროკურორი თანამდებობიდან მოეხსნა, რომელიც ბაიდენის შვილის საქმეს იძიებდა, რომლის მიხედვითაც მილიონობით დოლარს სრულიად დაუმსახურებლად იღებდა. ბაიდენი პოროშენკოს პირდაპირ ეუბნებოდა, თუ ამ პროკურორს არ მოხსნი, მილიარდ დოლარს ვერ მიიღებო. კომედიაა, მაგრამ ერთ მხარეს დევს მილიარდი დოლარით სხვა სახელმწიფოზე ზეწოლა და ჰანტერ ბაიდენის „საქმენი საგმირონი“, ხოლო მეორე მხრივ, სრულიად დაუსაბუთებელი, შეთხზული ისტორია მეძავის შესახებ. ეს ორი საქმე ისე განიხილება, თითქოს თანაზომადი იყოს, რაც ამერიკელი საზოგადოების უღრმეს კრიზისზე მიუთითებს. ეს აბსოლუტური ზნეობრივი დალტონიზმია. ჰანტერ ბაიდენს საკუთარ რძალთან — გარდაცვლილი ძმის მეუღლესთან, შემდგომ მის ქალიშვილებთან ჰქონდა რომანი, თან ნარკომანიც გახლავთ. რძალმა, ანუ ჰანტერის საყვარელმა, მისი მრავალრიცხოვანი საყვარლები ვეღარ აიტანა. იგი ბაიდენს აფრთხილებდა, შენი შვილი ნარკომანია, თან იარაღი იყიდაო. ბაიდენი ამბობს, არაფერი ვიცოდიო. ეს კომედიაა, აბა, რა არის?! სიმართლე გითხრათ, ამ დებატებს რომ ვუყურე, შემეშინდა, რადგან ეს კაცი მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფოს მეთაურია. არც ტრამპის თაყვანისმცემელი ვარ. იგი დიდწილად თავის ქებით არის დაკავებული, მაგრამ ბაიდენი გასაოცარი პერსონაჟია, თან დემენციით დაავადებული პრეზიდენტი. წარმოგიდგენიათ, ის წყვეტს მსოფლიოში სად, რა უნდა მოხდეს. როგორც ამბობენ, საქართველოში რევოლუციის მოწყობაც სწორედ მასთან არის შეთანხმებული.

— კამალა ჰარისმაც აღიარა, რომ დებატებს ბაიდენისთვის იდეალურად არ ჩაუვლია, თუმცა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, ნელი დასაწყისი იყო, მაგრამ ძლიერი დასასრული იქნებაო.

— კამალა ჰარისი საოცარი გამონათქვამებით არის ცნობილი. ფაქტია, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია გლობალური ომის პარტიის ნების განმახორციელებელია. ანუ, იმ გლობალური ძალებისა, რომელთაც სამყარო თავისი დომინირების გარეშე ვერ წარმოუდგენიათ და, შესაბამისად, ყოველთვის კატასტროფებს იწვევენ.

— კანდიდატის შეცვლა რთული იქნებაო, — ახსენეთ, მაგრამ რამდენად შეძლებს ბაიდენი, რომ პრეზიდენტობის მეორე ვადას თავი გაართვას?

— ახლა ხომ „შესანიშნავად ართმევს თავს“. ცხადია, ვერც მერე გაართმევს, ადამიანი თავის ჭკუაზე აღარ არის. მისი პრეზიდენტობა სადიზმია.

— ტრამპმა განაცხადა, პრეზიდენტი რომ ვყოფილიყავი, ომი არ დაიწყებოდა, ხოლო ჩემი არჩევის შემთხვევაში რუსეთ-უკრაინის ომს მალევე დავამთავრებო...

— სხვათა შორის, ამ ომთან დაკავშირებით ვფიქრობ, ეს ტრამპის წინასაარჩევნო რიტორიკა უფროა. ტრამპის ამ დაპირებას რეალურად არ მივიჩნევ. არა მგონია, მან ომის სწრაფად დასრულება შეძლოს. შესაძლოა, ამ თემაზე საუბრისას ტრამპი შემდეგ გარემოებას ითვალისწინებდეს: მოგეხსენებათ, პუტინმა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით თავისი პირობები დააყენა. მისი გუნდი, ალბათ, ვარაუდობს, რომ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის დროისთვის რუსული არმია საგრძნობლად წაიწევს წინ. მათ ახლა უკრაინული არმიის სწრაფად დამარცხება აწყობთ კიდეც, რადგან ასე პუტინის მიერ გამოცხადებულ სამშვიდობო გეგმის პირობებს დაუახლოვდებიან. პუტინმა მოითხოვა ოთხი ოლქი, ყირიმი და უკრაინის დენაციფიკაცია-დემილიტარიზაცია. წარმოვიდგინოთ, რომ ზაფხულის საომარი მოქმედებების დროს, ანუ ამერიკის არჩევნებამდე, რუსულმა არმიამ მიზანს მიაღწია. რუსეთის მიზანი ფრონტის ჩამოშლა, უკრაინის არმიისთვის ისეთი ზიანის მიყენებაა, რომ შემოდგომისთვის ამ ყველაფერმა უკრაინაში შიდა პოლიტიკური პრობლემები გამოიწვიოს, რაც მე რთულად, თუმცა შესაძლებლად მიმაჩნია. ან წარმოვიდგინოთ, რომ ფრონტი გაირღვევს, რისი შესაძლებლობაც ნამდვილად არსებობს, რადგან უკრაინაში ადამიანური რესურსები იწურება. ნაკლებად მგონია, რომ მობილიზაციის გამოცხადების შედეგად ვითარების შეცვლა შეძლონ. ფრონტის ჩამოშლის შემთხვევაში, ბუნებრივია, უკრაინის ხელისუფლება იძულებული გახდება, პუტინის პირობებს დათანხმდეს. ტრამპი, ასეთ შემთხვევაში, მშვიდობისმყოფელის როლის მორგებას შეეცდება. შესაძლებელია, ტრამპის გუნდს სწორედ ეს ვარიანტი აქვს გათვლილი, როცა მისი ლიდერი რუსეთ-უკრაინის ომის სწრაფად დასრულებაზე საუბრობს. პირადად მე ვითარებას ამ ჭრილში ვხედავ.

უკრაინას ძალიან მძიმე დანაკარგები აქვს. უკრაინელი კომენტატორები, რომლებიც ადრე იმაზე საუბრობდნენ, რომ ომში მხოლოდ რუსები იხოცებიან, თავად კი საღსალამათნი არიან, ნელ-ნელა იწყებენ იმის აღიარებას, რომ უმძიმეს ვითარებაში იმყოფებიან. ამავე დროს, კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია დაიწყო. კერძოდ, კორეის სახალხო რესპუბლიკაში პუტინის ვიზიტის შემდეგ გაჟღერდა, რომ უკრაინისთვის არამხოლოდ

10 გვ.

მმართველ გუნდს პიარტექნოლოგიებში სერიოზული ხარვეზები აქვს

გვესაუბრება ფსიქოლოგი, კომპანია DMS-ის დირექტორი მარიამ მაისურაძე:

- მარიამ, საინტერესოა თქვენი, როგორც პროფესიონალის ზოგადი შეფასება, როგორია ამჟერად ქართული საზოგადოების ფსიქოლოგიური სურათი, როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას და საქართველოს მოსახლეობას ვგულისხმობ...

- მოსახლეობა, თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, ცალკე ნაწილებად შეიძლება დაიყოს: გვყავს უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებსაც თავისებური მახასიათებლები აქვთ, გვყავს ოპოზიცია და სამთავრობო სექტორი.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ ცვლადებს. მაგალითისთვის რომ ავიღოთ, რატომ იქცევა ოპოზიცია ისე, როგორც იქცევა, ამის შესაფასებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ, ვინ წარმოადგენს ოპოზიციას, რამდენად დიდია მათი მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან, ვისი მხარდაჭერა აქვთ და, შესაბამისად, ვის ინტერესებს ითვალისწინებენ იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტულ აქტივობას ახორციელებენ.

ოპოზიციურ პარტიებს საქართველოში საზოგადოების მხარდაჭერა არა აქვთ, მაგრამ მათ ჰყავთ გარკვეული დემოგრაფია და დამფინანსებელი, რომლის მხარდაჭერაც აქვთ და, შესაბამისად, მათ ინტერესებს ითვალისწინებენ. რომ გავიგოთ, მაგალითად, რატომ აწყობენ არეულობებს, რატომ წარმოაჩენენ ნებისმიერი მოვლენას მაქსიმალურად ნეგატიურ ჭრილში, ისე, რომ ტრაგიკული სცენარი დაიხატოს, რატომ ცდილობენ ყოველთვის, რომ დეზინფორმაციის მიწოდებით მოსახლეობის ემოციებზე იმოქმედონ - აუცილებელია გავითვალისწინოთ, ვისი მხარდაჭერა აქვს ოპოზიციას! ისინი, პრინციპში, პირდაპირ ამბობენ, რომ მათი მთავარი ორიენტირი, გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, არის დასავლეთი. რასაც იტყვის დასავლეთი, მათთვის კანონია და, შესაბამისად, ეს არის მათი არგუმენტიც. მათთვის არა აქვს მნიშვნელობა, კონკრეტული გადაწყვეტილება მართებულია ან სასარგებლოა თუ არა საქართველოს მოსახლეობისთვის - მათთვის მნიშვნელოვანია, რა თქვეს დასავლეთში, რადგან დასავლეთია მათი დამფინანსებელი და უნდათ თუ არა, მისი ინტერესები უნდა გაატარონ.

ამის ნათელი მაგალითია არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან ოპოზიციასთან. ბუნებრივია, ისინი, პირველ რიგში, დამფინანსებლის ინტერესებს ითვალისწინებენ. აქედან გამომდინარე, როდესაც დამფინანსებლის ინტერესები ეწინააღმდეგება საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს, არასამთავრობო ორგანიზაცია იქცევა დამფინანსებლის და არა მოსახლეობის სასარგებლოდ. პლუს ამას, ნერგავენ იდეას, რომ თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციები მოსახლეობას ემსახურებიან, რომ ჰქონდეთ სამოქალაქო მოძრაობის სახელი, - როგორც ხალხის მხარდამჭერის, რადგან უნდათ თუ არა, არასამთავრობო ორგანიზაციებს ხალხის მხარდაჭერა სჭირდება.

- ანუ, ერთგვარი ახსნა ჰქონია რადიკალების საქციელს ფსიქოლოგიურად, თუკი, რასაკვირველია, შინაგანი მორალი გაძლევს ამის უფლებას...

- ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყველაფერს აქვს ახსნა. თუმცა, არის თუ არა ეს მორალურად გამართლებული - ცალკე საკითხია. მხოლოდ უიშვიათესი გამონაკლისი გვხვდება, როდესაც დაქირავებულს აქვს ძალიან მაღალი პრინციპული მახასიათებლები და შეუძლია, წინააღმდეგობა გაუწიოს დამფინანსებელს, თუკი ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება მის მორალს ეწინააღმდეგება.

საზოგადოება შეიძლება დავყოთ სოციალური, ეკონომიკური თუ განათლების თვალსაზრისით. ეს ყველაფერი, ჯამში, ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენს მოსახლეობის გადაწყვეტილებებზე. რადგან უმრავლესობა წყვეტს, რა როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანაში და არჩევნებზეც უმრავლესობა აფიქსირებს თავის აზრს, შეგვიძლია, რამდენიმე კრიტიკულად მნიშვნელოვანი ცვლადი განვიხილოთ. პირველი ცვლადი, ანუ ქცევის გარკვეული საზომი მოსახლეობის გადაწყვეტილებების თვალსაზრისით, არის: რა ინფორმაცია მიეწოდება მოსახლეობას, მეორე - როგორ ამუშავებს ამ ინფორმაციას, ანუ რას ფილტრავს, რა კრიტერიუმებით ფილტრავს, ამოწმებს თუ არა მას, როგორ ახარისხებს და ემსახურება თუ არა მიზანს, რომ სწორი ინფორმაცია მიიღოს. მესამე თემაა - რა დასკვნა გამოაქვს ადამიანს კონკრეტული სიტუაციიდან, მეოთხე კი - როგორი რეაქცია აქვს მას გამოტანილი დასკვნის მიხედვით!

დღესდღეობით, თანამედროვე ტექნოლოგიების დამსახურებით, ძალიან დიდი ინფორმაცია იყრის თავს ჩვენ გარშემო და რთულია ამ ინფორმაციის გაფილტვრა. ადამიანებს აქვთ გარკვეული კოგნიტური მახასიათებლები, რომლებიც რაღაც მხრივ გვეხმარება ინფორმაციის გადამუშავებაში, მაგრამ რაღაც თვალსაზრისით - ხელს გვიშლის. მაგალითისთვის, თუ დადებითად ვართ განწყობილი ვიღაცის, ან რაღაცის მიმართ, დიდად სავარაუდოა, რომ, როდესაც მასზე გარკვეულ ინფორმაციას მოვისმენთ, ჩვენი ტვინი შეეცდება, უფრო ქცევის პოზიტიური ახსნა გამონახოს, ვიდრე ნეგატიური. და პირიქით, თუკი მოწინააღმდეგე მხარე, რომელიც მე არ მომწონს, ამბობს რაღაცას, სავარაუდოდ, კარგს იტყვის თუ ცუდს, წინარე განწყობიდან გამომდინარე, მე მას ნეგატიურად შევაფასებ. ამიტომ კოგნიტური პროცესის, ანუ ფიქრის პროცესის მახასიათებელი ნაწილი, რაღაც სიტუაციაში ადამიანს ხელს უშლის, სწორად გადაამუშავოს ინფორმაცია. სწორედ ამ ნაწილს იყენებენ ძალიან კარგად პიარტექნოლოგები.

„რუსული კანონის" საკითხი იყო ძალიან კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანის კოგნიტური, ფიქრისთვის დამახასიათებელი სისუსტეები შენს სასარგებლოდ გამოიყენო. იარლიყის მიწებება და ისეთ ემოციურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რაც საზოგადოებისთვის კატეგორიულად მიუღებელია, არის იმის წინაპირობა, რომ ადამიანი კონკრეტული მოცემულობის შინაარსზეც არ დაფიქრდეს. ეს არის პიარისთვის დამახასიათებელი ნაწილი. უამრავი კვლევა ტარდება იმისათვის, რომ მსგავსი კოგნიტური ხარვეზები იქნას აღმოჩენილი და გამოყენებული ვიწრო მერკანტილური მიზნებისთვის. იგივე კვლევა ტარდება ჯგუფების დაპირისპირების შემთხვევაში - მაგალითად, როგორ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია და როგორ უნდა დავუპირისპიროთ ერთი ჯგუფი მეორეს, რომ თუნდაც არარსებული შუღლი ჩამოვაგდოთ მათ შორის. ზუსტად ამ საკითხებზე მუშაობს პიარი.

- ფაქტობრივად, მთელი ჩვენი პოლიტიკური (და არამხოლოდ) ცხოვრება ფსიქოლოგიურ განწყობაზეა დამყარებული. გააჩნია, ამ მიმართულებას ვინ როგორ გამოიყენებს - ქვეყნის სასიკეთოდ, თუ საზიანოდ!

- ძალიან სერიოზული კვლევები ტარდება კოგნიტური შესაძლებლობების შესწავლაზე, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც საზოგადოებაზე მანიპულაციის მიზნით, ასევე - პოზიტიურად. ამ შემთხვევაში მოსახლეობას აწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორი ხერხებით ცდილობენ მისით მანიპულირებას, რათა მან უკეთ შეძლოს ინფორმაციების გადამუშავება და ნაკლებად მოექცეს გავლენის ქვეშ. კვლევებს, რომლებიც ძალიან ბევრ საკითხს მოიცავს, მაღალი დონის სპეციალისტები ატარებენ და მუდმივად განახლების პროცესშია. შედეგებს კი იყენებენ როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თუ მარკეტინგული მანიპულაციებისთვის - მარკეტებში პროდუქციის შეფუთვიდან და ფასდაკლებებიდან დაწყებული, ჩვენი ყოველდღიურობის ჩათვლით. ასეთი მანიპულაციები დაფუძნებულია სიღრმისეულ კვლევებზე, რომელიც ჯამში ძალიან სერიოზულ შედეგებს იძლევა.

სახელმწიფო სტრუქტურები დგას საზოგადოების მხარდაჭერაზე. რაღაც გადაწყვეტილება რომ მიიღო პოლიტიკაში, აუცილებელია, სათავეში მოხვიდე და გქონდეს მოსახლეობის მხარდაჭერა. ვისთან ერთადაც მუშაობ, მათი მხრიდან ისეთი რეაქციებისა და შედეგების მიღება უნდა შეძლო, რაც ყველაზე კარგ სიტუაციაში მათთვისაც და შენთვისაც სასარგებლო იქნება. მართალია, საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივად დიდი არ არის, მაგრამ მილიონობით ადამიანზე გავლენის მოხდენა მაინც საკმაოდ რთულია. თუმცა, მარტივია აღნიშნული მეთოდის გამოყენება, შედეგის მისაღებად. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეც ზუსტსად იგივე კვლევებსა და მეთოდებს იყენებს, რაც ქმნის რთულ სიტუაციას და ამიტომაც არის, რომ ხშირ შემთხვევაში, ძალიან რთულია, ხაზგასმით ითქვას, რომელი ინფორმაციაა სწორი, რა წყაროებია ნამდვილი, რადგან, თუ ჩავუღრმავდებით ნებისმიერ წყაროს, რომელსაც ვამუშავებთ, ვნახავთ, რომ ვიღაცის ინტერესი მაინც ყველგან იკვეთება.

- როგორ შეაფასებდით ხელისუფლებასა და ოპოზიციას პიარმექანიზმების წარმატებით გამოყენების თვალსაზრისით?

- თითქოს ისე ჩანს, რომ, რადგან ხელისუფლებას აქვს ძალაუფლება და მეტი რესურსი, პიარტექნოლოგიებიც უკეთ უნდა გამოსდიოდეს, მაგრამ მმართველ გუნდს პიარ-ტექნოლოგიებში სერიოზული ხარვეზები აქვს. მაგალითად, როდესაც მათი მხრიდან წარმატებული პროექტი ხორციელდება, ამ ინფორმაციის მიტანასაც ვერ ახერხებენ მოსახლეობამდე ისე, რომ, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს და რაც შეიძლება სწორად გაიგოს! უჭირთ, წინასწარ განსაზღვრონ, რა რეაქციას გამოიწვევს მოსახლეობაში ესა თუ ის გადაწყვეტილება და მათ ყოველთვის ასწრებს ოპოზიცია. თუნდაც იგივე „გამჭვირვალობის კანონი" რომ ავიღოთ - სწორად რომ ყოფილიყო გაპიარებული ეს კანონი და სწორად მიეწოდებინათ მოსახლეობისთვის ინფორმაცია, უფრო ადრე რომ დაეწყო ამაზე მთავრობას მუშაობა, ვიდრე ოპოზიცია „დაას-

წრებდა“, მსგავსი რეაქცია არ იქნებოდა. თუმცა, ასე ვერ მოიქცნენ, ან არ მოიქცნენ, და, შესაბამისად, ეს შესაძლებლობა ოპოზიციამ გამოიყენა. მათ ძალიან მოკლე პერიოდში მოახერხეს კანონპროექტზე იარლიყის მიწებება, რითაც საზოგადოების ნეგატიური ემოცია გამოიწვიეს და ტალღაც ააგორეს.

ასე რომ, პიარმექანიზმების წარმატებით გამოყენების თვალსაზრისით, ოპოზიცია ბევრად უკეთ მუშაობს, ვიდრე ხელისუფლება. ოპოზიციას ამ მიმართულებით ნამდვილად ძალიან სერიოზული გამოცდილება აქვს და თუ გავითვალისწინებთ ასევე მხარდაჭერას დასავლეთიდან, გასაკვირიც არ არის, რომ მათ ხელთ აქვთ საკმაოდ დიდი რესურსი. პლუს გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ ხელისუფლებას აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა, რაც მას აიძულებს, რაღაცებისგან თავი შეიკავოს, ან შედარებით რბილად იმოქმედოს. როდესაც ოფიციალური პასუხისმგებლობა გაკისრია, ბევრად შეზღუდული ხარ, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხისმგებლობები არ გაქვს. მაგალითად, როცა არ გაქვს მოსახლეობის მხარდაჭერა, ვერც ელექტორატს დაკარგავ! ამიტომ უფრო ხშირად რადიკალურ ზომებს ოპოზიცია

მიმართავს, ვიდრე მთავრობა. ეს „უპირატესობაც“ მათ მხარესაა.

– გასაოცარია, რომ ბოლო დროს სწორედ ევროპასთან შეგვექმნა პრობლემები, რომელიც წესით, სტაბილურობისა და გამჭვირვალობის გარანტი უნდა იყოს. რატომ გვიქნევენ თითს გამუდმებით და რატომ არ ემეტებათ ჩვენი ქვეყნისთვის ის ყველაფერი, რაც თვითონ უკვე აქვთ?

- გაპიარებულია ისე, რომ ევროპა მიიჩნევა დემოკრატიის შუქურად, რომელსაც გადაცდომები არა აქვს, რომელიც მაქსიმალურად ობიექტურია, მაქსიმალურად გამჭვირვალეა, რომ თითქოს, ევროკავშირს აქვს ძალიან კარგად აქვს შემუშავებული კანონმდებლობა და ამ წესებს არ უხვევს... თუმცა რეალურად, ყველაფერი ისე არ არის, როგორც ვისურვებდით. უკვე არაერთხელ ვნახეთ, რომ, თუკი კონკრეტული საკითხი ევროკავშირის ინტერესებში არ შედის, მას შეუძლია, საკუთარ წესებს და კანონებს დაუყოვნებლივ გადააბიჯოს.

სავარაუდოდ, მათ რომ უნდოდეთ საქართველოს შეყვანა ევროკავშირში, ამას აქამდეც გააკეთებდნენ, რადგან ჩვენ ვნახეთ რუმინეთის მაგალითზე, რომ ქვეყანა შეიძლება კორუმპირებულიც იყოს, ცუდი ეკონომიკური მდგომარეობაც ჰქონდეს, რუსეთის გავლენის ქვეშაც იყოს, მაგრამ თუკი მათ სურვილი აქვთ, ევროკავშირში აწევრიანებენ.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველო მდებარეობს ძალიან სპეციფიკურ, დაძაბულ რეგიონში, რომელიც მნიშვნელოვანი წერტილია ევროპული ქვეყნებისთვის. იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში მაქსიმალურად იქნას გატარებული დასავლური ინტერესები, აუცილებელია, არ ვიყოთ ევროკავშირის წევრი და მუდმივად გვქონდეს გაწევრიანების მოთხოვნილება, მუდმივად გვესაჭიროებოდეს დახმარება ევროპის მხრიდან. აქედან გამომდინარე, მათ მეტად აწყობთ, საქართველოში შენარჩუნებული იქნას რთული ეკონომიკური მდგომარეობა და არ ვიყოთ ევროკავშირის წევრი, რადგან ბევრად მეტ ცვლილებას შემოგვახვევენ თავზე, რაც მხოლოდ მათთვის იქნება სასარგებლო. გარდა ამისა, ჩვენი ფიზიკური უსაფრთხოება მათ ფიზიკურ უსაფრთხოებას პირდაპირ არ ესადაგება. შესამაბისად, თუ, მაგალითად, ევროკავშირში შეყვანილი ქვეყნის უსაფრთხოებაზე მეტად იზრუნებენ, საქართველოს შემთხვევაში ეს არ დასჭირდებათ. პლუს ამას, ევროპულ ქვეყნებს აქვთ სერიოზული ეკონომიკური ჯაჭვი, რის გამოც ისინი ერთმანეთის ინტერესებს მაქსიმალურად ითვალისწინებენ და იმ შემთხვევაში, თუკი ევროკავშირის წევრი გავხდებით, რამდენად ინტენსიური იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური კავშირი მათთან, ამას თვითონვე განსაზღვრავენ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ეკონომიკური თუ ფიზიკური კეთილდღეობა პირდაპირ არ აისახება ევროკავშირში გაწევრიანებაზე. ძალიან სერიოზული დაფიქრებაა საჭირო იმაზე, თუ რა როლი აქვს ევროკავშირს საქართველოს ცხოვრებაში და ექნება თუ არა მას ისეთი პოზიტიური როლი, რისი იმედიც გვაქვს გაწევრიანების შემთხვევაში.

– რამდენიმე თვეში უმნიშვნელოვანესი არჩევნებს ველოდებით, რომელმაც ქვეყნის მომავალი უნდა გადაწყვიტოს. რას ურჩევდით საზოგადოებას არსებულ სიტუაციაში?

- იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთავრობის კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მოგვწონს, მოცემულობა გვაქვს ასეთი, რომ ჩვენ არ გვყავს პოტენციური ვარიანტი, რომელიც, არჩევის შემთხვევაში, საქმეს უკეთ გაუძღვება. გვყავს მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და უცხო ქვეყნის მიერ მართული ოპოზიცია, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს, სურვილებს და კეთილდღეობას საერთოდ არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობას არავითარ შემთხვევაში არ აწყობს მთავრობაში დიდი პროცენტით მოსული ისეთი ძალა, რომლის მთავარი მოკარნახე არა ქართველი ხალხი, არამედ ვიღაც სხვა იქნება.

ამჯერადაც, ოპოზიცია ისევ დასავლეთიდან წამოსულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს, რასაც ეტყვიან - იმას გააკეთებს, ამიტომ გადასაწყვეტიც, ფაქტობრივად, არაფერი აქვთ. მთავრობამ კი, არეულობების თავიდან ასაცილებლად, მაქსიმალურად სწორად და დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას, რადგან, თუ არჩევნების წინ ოპოზიცია გარკვეული განწყობის დანერგვას მოახერხებს, ამან შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები გამოიწვიოს.

ნონა ქარქაშაძე

ოსმალეთის იმპერიაში მოღვაწე ქართველი ვალიდე სულთნების გამბიტი

ოსმალეთის იმპერიის ისტორია ბევრ საინტერესო ასპექტს მოიცავს. ამ ხანგრძლივ, მოვლენებით დატვირთულ, ძლევამოსილ და დიდებულ ეპოქას, ოსმალების გარდა, სხვა ერების წარმომადგენლებიც ქმნიდნენ. ბედის უკუღმართობით, იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართველმა ქალებმაც უდიდესი როლი ითამაშეს. გავითვალისწინოთ ისტორიული კონტექსტი და განვმარტოთ, რას ნიშნავს ცნება „ვალიდე სულთანი“ და როგორ მოხდა, რომ ოსმალებმა დაუშვეს, იმპერიის მართვის სადავეები ქალბატონებისთვის ხელმისაწვდომი გაეხადათ.

საგულისხმო ფენომენია „ვალიდე სულთნის“ წოდება. ეს იყო მმართველი სულთნის დედის ოფიციალური ტიტული, რომელიც დასაბამს იღებს XVI საუკუნიდან. ამ სტატუსის პირველი მფლობელია სულეიმან პირველის დედა **ვალიდე აიშე-ჰაფსა სულთანი** (1478-1539 წწ.). ისტორიული დოკუმენტების თანახმად, აიშე სულთანი ყირიმის ხანის ასული იყო. თანამედროვეები მას ახასიათებდნენ, როგორც ძალიან ლამაზ ქალს. მიიჩნევა, რომ სულთან სულეიმანი (1520-1566 წწ.) მისი ერთადერთი ვაჟი იყო. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით იქმნება წარმოდგენა, რომ ვალიდე აიშე-ჰაფსა სულთანს ჰყავდა სხვა ვაჟებიც, რომლებიც სამეფო კარის ინტრიგებს შეეწირნენ. სწორედ ვალიდე სულთნის ტიტული იქცა ბიძგად ახალი ეპოქისა, რომელსაც „ქალთა სულთანატადაც“ მოიხსენიებენ. ეს იყო გამორჩეული პერიოდი ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში, როცა ქალები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ცნება „ქალთა სულთანატი“ XX საუკუნეში გაჩნდა, როცა მეცნიერებმა ოსმალეთის იმპერიის რღვევის მიზეზების კვლევა დაიწყეს. სწორედ ქალთა მმართველობის სავალალო შედეგად მიიჩნევა ის პოლიტიკური მოცემულობა, რამაც ძლევამოსილი იმპერიის საძირკველში პირველი ბზარები გააჩინა.

ოსმალეთის სამეფო კარზე დაწინაურებული ქართველი ქალებიდან აღსანიშნავია ვალიდე **ემინე მიჰრიშაჰ სულთანის** (1745-1805 წწ.) ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ მან ვერ იცოცხლა თავისი შვილის მმართველობამდე და ოფიციალურად არასოდეს უტარებია ეს საპატიო ტიტული, ისტორიოგრაფიაში მიჰრიშაჰ სულთანს, როგორც მუსტაფა III-ის ვალიდეს (დედა), ისე მოიხსენიებენ. ამ ისტორიული პირის წარმომავლობის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს. ვიცით, რომ იგი ჰარემში 1710 წლამდე მოხვდა. ეს ის წელია, როცა მისი შვილი დაიბადა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა მისთვის სულთნის მეორე ცოლის ტიტულის მინიჭება. ბუნებრივია, რომ ოფიციალურ ტიტულს გარკვეული პრივილეგიები მოჰყვა, თუმცა მიჰრიშაჰის ცხოვრებაზე ბევრი არაფერია ცნობილი. ეს იყო პერიოდი, რომელსაც „ტიტების ეპოქას“ უწოდებენ. ეს იყო მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკისა და არქიტექტურის ხანა.

ვალიდე მიჰრიშაჰ სულთანს, როგორც რამდენიმე მემკვიდრის დედას, უფლება ჰქონდა, დაკავებულიყო ქველმოქმედებით. სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით აიგო 1728 წელს უსქუდარში შადრევანი, რომლის სტილიც „ტიტების ეპოქის“ სულისკვეთებას გამოხატავდა, მაგრამ ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში ეს ქალბატონი თავისი საქველმოქმედო ფონდითაც გამოირჩევა. აღსანიშნავია ისიც, რომ საუკუნეების წინათ დაარსებული ეს ფონდი დღესაც მოქმედებს და ეხმარება შეჭირვებულ ადამიანებს. 1757 წელს, როცა იმპერიის მმართველი მისი შვილი მუსტაფა III გახდა, მიჰრიშაჰის სახელის უკვდავსაყოფად მეჩეთი აიგო. დოკუმენტების თანახმად, მიჰრიშაჰ სულთანი გარდაიცვალა 1762 წელს, თუმცა აუხსნელი მიზეზების გამო არ ატარებდა „ვალიდე სულთნის“ ტიტულს.

1789 წელს აბდულჰამიდ I გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა სულთან სელიმ III. იგი გახლდათ ზემოთ ნახსენები ვალიდე მიჰრიშაჰ სულთნის ვაჟი. სწორედ ამ წლიდან 1805 წლამდე, ის სახელმწიფოს მართავდა, როგორც რეგენტი.

ოსმალეთის სამეფო კარის ინტრიგებში ფიგურირებს კიდევ ერთი ქართველი ქალი, რომელმაც აბდულჰამიდ პირველის ტყვეობიდან ჯერ ქადინ-ეფენდის, ხოლო შემდეგ ვალიდე სულთნის ტიტულამდე მიაღწია. **ვალიდე აიშე სენიფერვერ სულთანი** (1758-1828 წწ.) ვალიდე სულთნის წოდება მან მხოლოდ 14 თვის განმავლობაში ატარა, რადგან მისი შვილი, მუსტაფა IV, ქვეყანას ამ ხნის განმავლობაში მართავდა. მუსტაფა IV-მ თავისი წინამორბედის, სელიმ III-ის ბედი გაიზიარა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, სელიმ III-ის მკვლელობაში ვალიდე აიშე სულთანმა არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა. მუსტაფა IV-ის დამხობის შემდეგ, იგი ძველ სასახლეში (ცრემლების სასახლე) დამკვიდრდა, სადაც გარდაიცვალა 1828 წელს. არსებობს ვერსია მისი ქართული წარმომავლობის შესახებ. ასე იმიტომ მიიჩნევენ, რომ XVIII საუკუნეში სულთნის ჰარემში აღმოჩენილ ტყვე გოგონათა უმრავლესობა ქართველი ან ჩერქეზი იყო. სავარაუდოდ, იგი დაბადებული იყო 1758 წელს, რადგან პირველი შვილი 20 წლის ასაკში გააჩინა. ვალიდე აიშე ერთ-ერთი სულთანი იყო აბდულჰამიდის 11 ცოლიდან. თუმცა მოვლენები ისე განვითარდა, რომ მას ხვდა წილად ვალიდე სულთნის ტიტული. 1807 წელს დაიწყო ამბოხება სელიმ III -ის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მუსტაფა IV-ის აღზევება მოჰყვა.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ პროცესებში პირდაპირ და ირიბად მონაწილეობდა ვალიდე აიშე სენიფერვერ სულთანიც. იგი ფარულად დაუკავშირდა უმაღლეს სასულიერო პირს, შეიჰუისლამ ეფენდის, რომლისგანაც მოითხოვა ფეტვა (ნებართვა) სულთან სელიმ III-ის ტახტიდან ჩამოსაგდებად. სელიმ III-ის ვერაგული მკვლელობის, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხარდაჭერის, მათ შორის, ალემდარ-მუსტაფა ფაშას თანადგომის მიუხედავად, მუსტაფა IV-მ ტახტი ვერ შეინარჩუნა. მისი მემკვიდრე გახდა მაჰმუდ II. მიუხედავად უტყუარი მტკიცებულებებისა, ახალმა სულთანმა გადაწყვიტა, არ დაესაჯა სიკვდილით დედინაცვალი. სენიფერვერ ვალიდე სულთანმა ფორმალური პრივილეგიები დაკარგა, თუმცა ის მაინც დიდ ზეგავლენას ახდენდა იმპერიის საშინაო პოლიტიკაზე. ისევე, როგორც სულთანთა სხვა დედები, ისიც დაკავებული იყო ქველმოქმედებით. მის სახელს უკავშირდება სხვადასხვა შადრევნის, კარიბჭის, დაწყებითი სკოლის აგება. იგი გარდაიცვალა 1828 წლის 11 დეკემბერს, დაკრძალულია ეიუფ სულთნის მეჩეთის სასაფლაოზე.

დავით ჯიჯიეშვილი
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ტრამპისა და ბაიდენის დებატებს რომ ვუყურე, შემეშინდა...

7 გვ.

შეიარაღების მიწოდება, არამედ მის ტერიტორიაზე კორეის საინჟინრო ჯარების გადასროლაც მოხდება. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საინჟინრო ჯარები ეს, უბრალოდ, შირმაა. სხვადასხვა ქვეყნის ჯარები ომში მოხალისეების, სანიტრებისა და სპეციალისტების შირმით ხომ მიდიან უკრაინის მხარეს, ასევე კორეის სახალხო რესპუბლიკიდან წავლენ საინჟინრო ჯარები, რაც, ვიმეორებ, მხოლოდ შირმაა. ბუნებრივია, საფრთხეები გამწვავდება. ტრამპის მოსვლის შემთხვევაში, ვვარაუდობ, რომ მისი გაპრეზიდენტება ორივე მხარისთვის ერთგვარი შვებაც იქნება, რადგან გადატვირთვის ახალი შესაძლებლობა გაჩნდება. დღეს სიტუაცია ჩიხურია, რაც ატომური იარაღის გამოყენებისკენ მიდის.

— ანუ, ომის მონაწილე მხარეების მხრიდან მოლაპარაკების რესურსს ვერ ხედავთ, გამოდის, ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე რეალურია?

— ჯერჯერობით, კომპრომისის საშუალებას ვერ ვხედავ. ბევრს ეგონა, რომ მალე მოლაპარაკებები დაიწყებოდა, მაგრამ ეს ამაო იმედია. მხარეები ესკალაციის საფრთხეებს ითვალისწინებენ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი შეთანხმებულნი არიან. ეს ომი იმ მორევს ჰგავს, რომელიც ახალ-ახალ სეგმენტებს სულ უფრო და უფრო ითრევს. დიახ, უკვე მოვესწარით იმასაც, რომ ატომურ ესკალაციაზე ღია საუბრები მიმდინარეობს. ამაზე პირველი პირები ლაპარაკობენ. მეტიც, არამხოლოდ ლაპარაკობენ, არამედ მოქმედებენ კიდეც. კერძოდ, ვხედავთ, რომ ტაქტიკური იარაღის გამოყენებით მესამე სტადია უნდა დაიწყოს, ბელორუსში ვარჯიშები ტარდება. სტოლტენბერგმა გააკეთა განცხადება, რომ თავიანთი ატომური იარაღი მზადყოფნაში უნდა მოიყვანონ. აშშ-ში კი განიხილავენ, რომ პროგრამა მოძველებულია და სტრატეგიული დანიშნულების რაკეტები ახლით უნდა შეცვალონ, რაც წარმოუდგენელ ხარჯებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ამ სტრატეგიული რაკეტების პაკეტების განახლებას, დაახლოებით, ერთი ტრილიონი დოლარი სჭირდება.

— საქმე ისე სერიოზულადაა, რომ დასავლეთი ბირთვულ აფეთქებაზე წავა?

— როცა დასავლეთს ვახსენებთ, მოდი, დავსვათ შეკითხვა: ვინ არის დასავლეთი? — ის „ომის პარტიაა“, როგორც აქ ეძახიან და მას წარმოადგენენ ე. წ. ნეოკონსერვატორები და კიდევ რამდენიმე არანაკლებ გავლენიანი სხვა ჯგუფი, რომელთაც სრულიად შეურიგებელი პოზიცია უკავიათ. ესენი არიან: ბუშები, ნულანდი, მისი მეუღლე კოგანი და სხვები. მათი პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია — მათი გათვლებით საჭიროა, ამერიკის დომინირებისთვის ყველაფერი გაკეთდეს. ანუ, აშშ-მა შეძლოს, ომი სამ სხვადასხვა სცენაზე აწარმოოს, რათა უპირატესობა ჰქონდეს. ის უზარმაზარი უწყებები, როგორებიცაა ვთქვათ, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, სახელმწიფო დეპარტამენტი, პენტაგონი უზარმაზარი დაფინანსებით და გავლენებით, ამერიკის სახელმწიფო ინტერესებთან მიმართებაში არაინტეგრირებულად მოქმედებენ. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ თავზე მუშაობენ, განსაკუთრებით კი პენტაგონი, რომელიც აშშ-ის სამხედრო სამრეწველო კომპლექსია თავისი უზარმაზარი ლობით. ის ძალიან ბევრ კონგრესმენს, სენატორს, პრესას აფინანსებს. მთელი სისტემაა შექმნილი, რომელიც ამ ომზე მუშაობს. ნეოკონსერვატორები ამ ინტერესების გამტარები არიან, თუმცა არამხოლოდ ისინი. იქ არიან, ასევე, ტრანსნაციონალური კორპორაციები, მაგალითად, „ბლექროკი“, რომელსაც ტრილიონიანი აქტივები გააჩნია. ბუნებრივია, როდესაც ასეთი დიდი სისტემა არსებობს, ის როგორც ერთიანი ორგანიზმი, ისე მუშაობს, თან საკუთარი ინტერესებით, ყოველგვარი მორალის გარეშე, მხოლოდ შედეგებზეა ორიენტირებული.

— ამერიკის მიზანი რუსეთის დაშლაა, რათა თავი გამარჯვებულად იგრძნოს?

— დიახ, უნდათ, რომ რუსეთი დაშალონ. ელცინს რუსეთის ერთიან სისტემაში ნაწილ-ნაწილ ინტეგრირებას სთავაზობდნენ. ახლა უკრაინა, კავკასია და ბელორუსი პირდაპირ ფრონტის ხაზია, რადგან, როგორც ბჟეზინსკი ამბობდა: რუსეთი უკრაინის გარეშე მხოლოდ რეგიონალურ სახელმწიფოდ რჩება, ხოლო უკრაინასთან ერთად ის ზესახელმწიფოა. აქ იგულისხმება როგორც ადამიანური, ისე ბუნებრივი რესურსები. ასევე, ტერიტორიული განლაგება, ზღვასთან გასასვლელები და ა. შ. ამერიკელებისთვის ყველაზე დიდი კოშმარი ის იქნება, თუ ეს სამი სლავური ქვეყანა — რუსეთი, ბელორუსი, უკრაინა თავიანთ გავლენებს და ტერიტორიულ სიმძლავრეებს სხვა ქვეყნებზე განავრცობენ, რითაც გავლენის ზონებს შექმნიან. თუ ეს მძლავრი გაერთიანება შედგება, ასეთ შემთხვევაში, ევროპას არგუმენტები არ ექნება. შედეგად, ევრაზიული რესურსები და გერმანული ტექნოლოგები გაერთიანდება. შეგახსენებთ, რას ამბობდა ბისმარკი: ანგლოსაქსების ბოლო ჟამი მაშინ დადგება, როცა გერმანიის ტექნოლოგიები და რუსული რესურსები გაერთიანდებაო. აქედან გამომდინარე, ეს ბრძოლაა, რაც ობიექტურად, როგორც ქუჩის ორმხრივი მოძრაობა, ისე უნდა განვიხილოთ და არა ისე, რომ რომელიმე მხარეს დავდგეთ და ვთქვათ: ეს ბოროტია, ის კეთილი და ა. შ.

— ბატონო სოსო, ბოლოს, ევროსაბჭოს სხდომაზეც მინდა გკითხოთ, სადაც ნაცებმა გონჩარენკოსთან ერთად, ევროპას საკუთარი ქვეყნის დასჯა მოსთხოვეს. თქვენი გადმოსახედიდან ეს მოთხოვნა როგორ გამოიყურება?

— ეს გამოიყურება ზუსტად ისევე, როგორც გამოიყურებოდა ღალატი ყველა ეპოქაში. ესენი ჩვეულებრივი ნაყიდი, კლასიკური მოღალატეები არიან. მათში ფულია გადახდილი. ეს უცხო ქვეყნის აგენტები იმით სარგებლობენ, რომ საქართველო კოლონიაა და სამშობლოს ღალატისთვის, მათი სარზე ჩამოცმა ჯერჯერობით შეუძლებელია. დაუჯერებელია, რაც ხდება. ეს გარეწრები, რომლებიც ხელიდან არ უშვებენ შესაძლებლობას, რომ საკუთარი ქვეყნის წინაშე საძაგლობა ჩაიდინონ, უნდა დაისაჯონ. მოქალაქეებს მოვუწოდებ: ამ ნაძირლებს პასუხი თავადაც გასცენ. ცემა-ტყეპას არ ვგულისხმობ, თუმცა, ამას ნამდვილად იმსახურებენ. უბრალოდ, მათ არ მიესალმონ. ასევე, თავიანთი გრძნობები მათ მიმართ არ დამალონ, ამას შესაბამისი ვერბალური ფორმა მისცენ არამარტო ფეისბუქზე, არამედ პირისპირ შეხვედრის დროსაც. საზოგადოებამ მათ მეგობრებს, მხარდამჭერებსაც უნდა გასცეს პასუხი. ყველა, ვინც მათ მხარს უჭერს, ქვეყნის მოღალატეა.

დასავლეთს რაც შეეხება, მას უნდა, საქართველო სრულ მორჩილებაში ჰყავდეს და რუსეთის წინააღმდეგ ფრონტი გავხსნათ. ფრონტზე სწორედ ეს კოლექტიური ნაცები უნდა გავგზავნოთ. უკროფრენია რომ დაიწყო, მაშინ ვთქვი: იქნებ, მათ თავიანთ საკაშვილიანად ათასი ჰექტარი მიწა ვუყიდოთ და იქ შექმნან უკროიბერია-მეთქი. გონჩარენკოც ამ უკროიბერიაში მიიწვიონ ელჩად, ეს ბანდერგეი. აი, ასეთი ვითარება გვაქვს.

თამარ შველიძე

Venice Commission (Twitter)

საქართველოს „დაუძინებელი მეგობრების“ ვარამი

7 გვ.

სტრატეგიული ინტერესი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა სტრატეგიული გეგმა, რომლის თანახმადაც, რუსეთის გვერდით უნდა შექმნილიყო ზესახელმწიფო რომელიც რუსეთს დაუპირისპირდებოდა. ჩვენ 7 თუ 8 მლრდ დავხარჯეთ და ჩინეთში „კულტურული რევოლუცია“ მოვაწყვეთ. 60-იან წლებში ჩინეთი რუსეთს დაუპირისპირდა და ცეცხლიც გაიხსნა, მაგრამ ახალი მთავრობა რომ მოვიდა მან რუსეთთან დაპირისპირებაზე უარი თქვა.

70-იან წლებში ჩვენი ყურადღება ირანზე იყო გადატანილი. მრავალი მილიარდის ფასად ირანის შაჰი მოვისყიდეთ და „დემოკრატიის ჩანერგვა“ დავიწყეთ, მაგრამ ფუნდამენტალისტებმა შაჰი გამოაძევეს და მიზანს ვერ მივაღწიეთ.

ახლა ჩვენი ბოლო და ერთადერთი იმედი თურქეთია, მაგრამ ის ღარიბი ქვეყანაა იმისთვის, რომ ზესახელმწიფო გახდეს, ამიტომ მას ყოველწლიურად 30 მლრდ დოლარს ვჩუქნით, რათა მომძლავრდეს და ნატო-ს საკადრისი ჯარი შექმნას. ამ ფულს ვითომ ამერიკელი მუსლიმანები აგროვებენ საჩუქრად. ჩვენ მართლაც შევქმენით ისეთი ჯარი, რომელიც ერთადერთია მუსლიმანურ სამყაროში, რომელიც ბრძანებაზე თავისივე ხალხს ესვრის! მაგრამ იმისათვის, რომ ზესახელმწიფო გახდეს, მას უნდა ჰქონდეს კასპიის ზღვის აუზის ნავთობი და ტერიტორია, რომელიც რუსეთის უშუალო მეზობელია. ამიტომ, მან უნდა დაიკავოს ყირიმიდან დაწყებული, მთელი კავკასია და შუა აზიის ორი თურქულენოვანი რესპუბლიკა, — მითხრა როლფმა.“

გადის წლები და როგორც ვხედავთ, ეს სტრატეგიული ინტერესი ძალაში რჩება.

სწორედ ამიტომ იყო ამ ბოლო დროს თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ ამხელა ინტერესი; ამიტომ იყო, თურქეთის ძალოვანი მინისტრები პირდაპირ რომ ადანაშაულებდნენ აშშ-ის ელჩს თურქეთისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობაში; ამიტომ იყო, ერდოღანმა რომ პირდაპირ დაადო ხელი ცხრა ევროპელ ელჩს და მათი გაძევება მოითხოვა; ამიტომ იყო კიდევ ბევრი რამ და რატომ უხაროდათ ამ დროს საქართველოში საქართველოს დამაქცევრებს თუ ერდოღანის მოწინააღმდეგე — ამერიკელების კაცი გაიმარჯვებდა, ძნელი მისახვედრია?

„ფრანკლინის კლუბის“ ერთ-ერთი საპატიო სტუმარი და სტუდენტთა განმანათლებელი მიშა მშვილდაძე ამიტომ გოდებდა: „თურქეთში გაგვედო ბაირამ დუდუკში ხუთი წლით — ლიბერალები დავმარცხდით, მარა ხუთ წელიწადს ან გაძლებს ასეთი მორყეული ერდოღანი, ან — ვერა. ფაქტი ისაა, რომ მეორე ტურმა საკმაოდ შეარყია „ერდოს“ ძალაუფლება და ქილიჩადროღლუ არაა ერთადერთი პოლიტიკოსი ოპოზიციის მხარეს, იქ კიდევ არიან ამბიციური ადამიანები, რომლებიც იბრძოლებენ თურქეთის ვესტერნიზაციისთვის. ჩვენ ჩვენი ბრძოლა გვაქვს მოსაგები აქა და თურქეთი ვერასოდეს გახდება რეგიონის ვესტერნიზაციის ბაირახტარი, სანამ საქართველო ვართ აქა და სომხეთი, რომელიმე ყოველთვის უფრო წინ ვიქნებით ექსპერიმენტალიზმში — ჩემი აზრით, ოღონდ, მეც გეოპოლიტიკურ ოპტიმიზმზე ვარ შემჯდარი.“

ამათ რომ ჰკითხო, „ფერად რევოლუციებს“ იმიტომ უწყობენ ხელს, რომ დემოკრატიის დამყარებაში დაეხმარონ დიქტატორი ხელისუფლების მმართველობის ქვეშ მგმინავ ხალხს, მაგრამ სად არის დიქტატურა და სად გმინავს ხალხი, ამას თვითონ გადაწყვიტენ...

ძალიან კარგად ჩანს, საქართველოს „დაუძინებელი მეგობრების“ ვარამი რაც არის — მათი დიქტატურისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლა!

შიშველი სიმართლე თქვა ბატონმა მდინარაძემ კრებსითი „დასავლეთის“ გასაგონადაც და მავანთათვისაც:

„მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შენი აგენტი არ ვარ, მეგობარი ვარ და შენს დაკრულზე ყველაფერზე არ ვცეკვავ, ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის რომ ვიბრძვი, ამისათვის ნუ დამსჯი — ამას ველაპარაკები და ამასაც თავდასხმად აღიქვამენ.

ახლა ნახეთ, “ნაცების” ტელევიზიებს უყურეთ, აუცილებლად იტყვიან, მამუკა მდინარაძე კვლავ თავს დაესხა დასავლეთსო — თუ ეუბნები, რომ სამართლიანად მომეპყარი, თავდასხმაა ეს.

ასე იცვლება ტრენდები 21-ე საუკუნეში, რაც ცუდია, რასაც შეეწინააღმდეგება ჩვენი პატარა, მაგრამ ამაყი ქვეყანა და არ დაუშვებს ამ ქვეყნის აგენტების მიერ მართვას”.

მაია ჯელიძე

სვასტიკა – ყველა დროის იდუმალი კოსმიური ნიშანი



(გაგრძელება, დასაწყისი „სგ“ N23)

ქალაქში ჩანდა საფეხურიანი ტაძარიც, აცტეკების პირამიდის მსგავსი. ობელისკზე, რომელიც დაფარული იყო ნახატებით და წარწერებით, მეცნიერები იეროგლიფებს ელოდნენ, თუმცა იქ გაურკვეველი ანბანი აღმოჩნდა, რომელიც გერმანელებმა რუნებს მიამსგავსეს, მაგრამ ვერაფერი გაუგეს. მოედნის კიდეებში გოლიათური ზომის ოთხი სკულპტურა იდგა. ტაძარს შესასვლელი ვერ უპოვეს. ე. წ. ცენტრალურ ქუჩას პერპენდიკულარულად მიუყვებოდა მეორე ქუჩა, რომელიც გვირაბით ბოლოვდებოდა, სადაც ორი ობელისკი იდგა. გვირაბში ნახეს, რომ ორი არხი მიუყვებოდა სიღრმეში, თითქოს რელსებისთვის, კედლებს კი გადახლართული ხაზების უცნაური ორნამენტები გასდევდა. გვირაბი გაუვალი იყო და მის გამოსაკვლევად დაბრუნება გადაწყვიტეს. ქალაქის დათარიღება ვერ შეძლეს, პირობითად კი „ეაროდრომი“ უწოდეს.

ამ დროს, გემებმა, რომლებიც კონტინენტის ნაპირს მიუყვებოდნენ, მალევე აღმოაჩინეს თბილი დინება, რომელიც ყინულების ქვეშიდან გამოდიოდა, იქვე, შორიახლოს კი – ჩამქრალი ვულკანი. აქვე იპოვეს გიგანტური ყინულქვეშა გვირაბები, რომლის შიგნით იყო დიდი ტბები, ხოლო ტბების ქვეშ მღვიმეების კიდევ ერთი საფეხური, ცარიელი ადგილები, სადაც დასახლება შეიძლებოდა, ანუ იდეალური ადგილი ბაზის მოსაწყობად. მოაწყვეს კიდეც და ამ ადგილს „ვალჰალა“ დაარქვეს (ბოლო წლებში რუსებმაც აღმოაჩინეს ანტარქტიდაზე მიწისქვეშა ტბა, რომლის ქვეშ დინებაა და ქვედა მღვიმეებს უკავშირდება, ანუ იგივენაირი სისტემა). მღვიმეების ბოლოში იპოვეს სიღრმეში ჩამავალი შახტა, რომლის შესასვლელთან ფრთებიანი ლომის მსგავსი ქვის სტატუა იდგა. ამ პერიოდში მთელი ესპედიცია გრიპის ვირუსმა შეაყოვნა. გარკვეული პერიოდის შემდეგ შახტაში კვლავ ჩავიდნენ მკვლევარები, მაგრამ რომ აღარ დაბრუნდნენ, მეორე ჯგუფი გაგზავნეს, რომელმაც ისინი გაურკვეველი მიზეზით გარდაცვლილები ნახა. მეორე ჯგუფის დაკარგვის შემდეგ (მთლიანობაში, გაურკვეველი მიზეზით 17 ადამიანი დაიკარგა და დაიღუპა), შეწყვიტეს შახტას კვლევა. არაერთი გვირაბი და კიდევ ერთი მიტოვებული ქალაქი ნახეს, მაგრამ, ამასთანავე შენიშნეს, რომ რაღაც უცნაურ მოვლენებს და ამოუხსნელ ფაქტებს აწყდებოდნენ, მათ შორის, გაურკვეველი მიზეზით კვდებოდნენ ადამიანები და იკარგებოდა თვითმფრინავები. „ნაცისტებს“ ეს არ აღელვებდათ, კვლევა გრძელდებოდა. ასე აღმოაჩინეს ზემოთ აღწერილი ადგილები, სადაც შემდგომში თავიანთი ბაზები განათავსეს, რომლებიც ნახევარი საუკუნის წინათ ფუნქციონირებდა. იმ ადგილებს „ახალი შვაბია“ უწოდეს (ადმირალ ბერდის ექსპედიციას დავალებული ჰქონდა გერმანელების ბაზების პოვნა და განადგურება, მაგრამ „ნაცისტები“ მომზადებულები დახვდნენ).



ჟაკ-ივ კუსტოსაც (საფრანგეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა) ჰქონდა დავალება, რომ ეპოვნა გერმანელების ბაზები ანტარქტიდაზე, მაგრამ სანამ ბაზების კვალს დაადგებოდა, დიდი მიწისქვეშა გვირაბი იპოვა, რომელიც ასევე კარსტულ მღვიმეებთან შედიოდა. იქ სიცარიელე და ისეთი იდუმალებით მოცული დიდი ტბა იყო, რომ ეშინოდათ კიდეც მისი. ერთ დღეს ტბამ ნათება დაიწყო, რაც ვერაფრით ახსნეს. ტბის პირასაც იდგა ორი ობელისკი. ერთი მათგანის საფრანგეთში წაღების ბრძანება გასცა კუსტომ, მაგრამ იქ არსებული ვერანაირი ტექნიკით ვერ შეძლეს მისი ადგილიდან მოხსნა და თავი დაანებეს.

გვირაბების ქსელში კუსტომაც იპოვა გვირაბი, რომელიც სიღრმეში მიდიოდა, მის წინ კი ფრთებიანი ლომის მსგავსი ცხოველის ქვის სტატუა იდგა, მაგრამ როდესაც პირველი ჯგუფი აღარ დაბრუნდა და მეორე ჯგუფმა ისინი გარდაცვლილები ნახა (მათი გამოატანაც კი ვერ მოახერხეს, ხუთი ადამიანი დაიკარგა და გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში), კუსტოს იქ აღარავინ გაუგზავნია.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, ამჯერად ანტარქტიდის „ოაზისის“ საკვლევად წასულ რუსებს გვირაბის შესასვლელი თავზე აუფეთქდათ და 3 კაცი მოუკვდათ. ესპედიცია მცირე ხნით გადადეს, შეიარაღდნენ ტექნიკით, მაგრამ უკან მიბრუნებულებს აღარც ტბა დახვდათ, აღარც „ოაზისი“ და სულაც ვეღარც ის ადგილი იპოვეს, რადგან თოვლმა გადაფარა.

როდესაც რუსულმა დაზვერვამ კუსტოს ექსპედიციის შესახებ ინფორმაცია მიიღო, სამი გემით მიადგა ანტარქტიდას. მიაკვლიეს კუსტოს ექსპედიციის ადგილსაც და მისი წევრების ჩონჩხებსაც, მაგრამ გვირაბის ჩახერგილ შესასვლელს ვერაფერი მოუხერხეს, დინამიტმა ძვრა ვერ უყო ქვის ბლოკს. საბოლოოდ, მიიჩნიეს, რომ ეს ქვის ბლოკი კი არა, გაურკვეველი შემადგენლობის მასალა იყო, რომელსაც ვერაფრით მოერეოდნენ და ხელცარიელები გამობრუნდნენ.

ყველა ეს ექსპედიცია გასაიდუმლოებული იყო. შესაბამისად, ახლაც არაფერი იცის ხალხმა, რა ხდება ანტარქტიდასთან დაკავშირებით, რა დონეზეა მისი კვლევა, შეუძლია თუ არა ვინმეს იმის თქმა, რა ცივილიზაციის კვალია ნაპოვნი ყინულოვან კონტინენტზე, რომელიც ოდესღაც განვითარებული და სიცოხლით სავსე ხმელეთი იყო.

შემთხვევით არ ჩავძიებივართ ანტარქტიდას. საუბრის დასაწყისში ვახსენეთ, რომ სვასტიკის მსგავსი ფორმის შენობის კონტურები გამოისახა სატელიტიდან გადაღებულ ფოტოზე. ეს შენობა, მოქმედი თუ უკვე „მკვდარი“, ფაშისტური გერმანიის მიერ სიმბოლოდ აღებულ სვასტიკამდე, ათასწლეულების წინათ არსებობდა ამ ფორმით.

საინტერესო ფაქტია — ლალიბელა პატარა ქალაქია ჩრდილოეთ ეთიოპიაში, რომელიც მსოფლიოში განთქმულია მონოლითური ტაძრებით. ლალიბელას მოსახლეობა მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. იქ 13 ტაძარია და ყველა მონოლითი კლდეშია გამოკვეთილი. გამოითვალა, რომ ტაძრების აგებას ასობით ათასი კუბომეტრი ქვის გამოჭრა დასჭირდებოდა.

ეთიოპიის ისტორიის მიხედვით, მეფე ლალიბელამ მე-12 საუკუნეში მოინახულა იერუსალიმი და მუსულმანთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის საპასუხოდ (1187 წ.), გადაწყვიტა მშობლიურ ქალაქ როჰაში აეგო ახალი იერუსალიმი. როჰას ლალიბელა ეწოდა, რომელიც ქვეყნის დედაქალაქი იყო მე-12-მე-13 საუკუნეებში. ამდენად, ბევრ ნაგებობას ბიბლიური სახელი ჰქვია, მდინარესაც კი, რომელიც ქალაქში მიედინება, იორდანე ჰქვია. გადმოცემის მიხედვით, იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ლალიბელას კლდეში ნაკვეთი ეკლესია, მეფე ლალიბელას მითითებას აძლევდნენ წმინდა გიორგი და უფალი ღმერთი. მართლმადიდებლური ტაძრის სარკმელი რომ ჯვარს გამოსახავდეს, გასაკვირი არ არის, მაგრამ ლალიბელას ტაძრის სარკმელები ჯვრის გვერდზე იმეორებენ სვასტიკასაც... საინტერესოა, რატომ?!

სვასტიკა – კოლხთა კოსმიური სიმბოლო

„სვასტიკა“ (სანსკრიტზე — „კეთილად ყოფადი“) აბნევს ადამიანთა კატეგორიას, რადგან ის ფაშისტურ გერმანიასთან ასოცირდება, მაგრამ „სვასტიკა“ ის გრაფიკული სიმბოლოა, რომლის მკვლავებმოხრილი ჯვრის ვარიანტს თითქმის ყველა უძველეს კულტურასა და ცივილიზაციაში საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. სვასტიკა გვხვდება ძველ კოლხურ ცივილიზაციაში, შუმერებთან, ეგვიპტეში, ინდოეთში, საბერძნეთში, ირანში (ზოროასტრიზმში), სკანდინავიასა და ძველ გერმანულ მითოლოგიაში, მაიასა და ცენტრალურ, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის სხვა ცივილიზაციებში, სემიტურ კულტურაში და ა. შ. ცნობილი ატლანტოლოგი ზაიდლერი ვარაუდობდა, რომ სვასტიკა „ატლანტიდის ცივილიზაციიდან შემორჩენილი ნაშთია“...

სვასტიკა არსებობს ოთხმხრიანი, სამმხრიანი (ე. წ. „ტრიკვესტი“) და მრავალმხრიანი, ამასთანავე, მომრგვალებული მხრებით, რომელსაც ქართულად „ბორჯღალა“ ჰქვია. ერთი ვერსიით, სვასტიკის სიმბოლოდ აღება გიორგი გურჯიევმა უკარნახა ნაციზმის ერთ-ერთ იდეოლოგს, კარლ ჰაუსჰოფერს ჯერ კიდევ ოკულტურ-პოლიტიკური ორგანიზაცია „თულეს საზოგადოების“ დაარსებამდე. ამ სიმბოლომ, რატომღაც, იმთავითვე ისეთი დიდი პოპულარობა მოიპოვა ხალხში, რომ მოგვიანებით ჰიტლერმა დაწერა: „ეფექტი იმდენად დიდი იყო, რომ ყუმბარის აფეთქებას ჯობდა“.

სვასტიკამ არაერთგვაროვანი მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ, როგორც ჩანს, პირდაპირი კოსმიური, კოსმიური მოძრაობის, შემოქმედი ძალის, ნაყოფიერების, კეთილდღეობის, აღორძინების, კოსმიური სიბრძნისა და ა. შ. ყოველგვარი დადებითის გამომსახველი ნიშანია.

სვასტიკის ყველაზე ძველი ფრაგმენტები ნაპოვნია შუამდინარეთში (შუმერი) და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულით თარიღდება. სვასტიკა ამოჩუქურთმებულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამ უძველეს და თავისთავადი, მტკვარ-არაქსის, თრიალეთისა და კოლხური კულტურის ნიმუშებზე (კერამიკა, ცულები, სამკაულები, საყოფაცხოვრებო ნივთები, დედაბოძები); მცხეთაში — სამეფო ბეჭდები; რაჭაში — ცული ძვ. წ. II ათასწლეულისა; სვასტიკა არის ქართულ ასომთავრულ ანბანშიც ასომთავრულ ძეგლებში „ქან“-ის გამომსახველ ასო-ნიშნად.

ფაქტია, სვასტიკა და ბორჯღალა ქართულ (კოლხურ) რეალობაში, საკრალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, უდიდესი დატვირთვის ყოფილა. ეს ორნამენტული კომპოზიცია მზის შვილი აიეტის ქვეყანაში მზის მისტერიად, სიცოცხლის უკვდავობის, საიდუმლო ცოდნის, ძალაუფლების, შემოქმედი ძალის, კეთილდღეობის, ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნეოდა.

(გაგრძელება იქნება)

„ლა სკალაში“ ვინმეს ბურთი აეკენწლოს, ისტორიას არ ახსოვს

ზურაბ სოტკილავა:
1988 წლის 23 მაისი. „ლა სკალას“ სცენაზე ზურაბ სოტკილავა არიებს მღერის. ბოლო არია რომ იმღერა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პარტერში იჯდა ადამიანთა ჯგუფი, რომლებმაც ყვირილი დაიწყეს: „გაეთრიეთ, საბჭოთა ღორებო! ძირს საბჭოთა ნაკრები! გაუმარჯოს იტალიის ნაკრებს!“

საქმე ის გახლდათ, რომ წინა ღამეს, გერმანიაში გამართულ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალში საბჭოა კავშირის ნაკრებმა იტალიის ვარსკვლავური გუნდი 2:0 დაამარცხა. ტიფოზები ამას ძლიერ განიცდიდნენ და ოპერაში სალანძღავად განგებ მისულებმა, ფეხბურთის ნამდვილი ბურთიც გასტყორცნეს საბჭოთა მომღერლისკენ. ყველასთვის მოულოდნელად, 51 წლის ზურაბ სოტკილავამ ბურთი მკერდზე მიიღო, შემდეგ თავზე აიგდო, რამდენჯერმე აკენწლა, შემდეგ ფეხზე ჩამოიგდო და ახლა ფეხით

აკენწლა, მერე მკვეთრად შეტრიალდა და ბურთი ქუსლით დააბრუნა დარბაზში იმ მიმართულებით, საიდანაც ბურთი ესროლეს. მთელი დარბაზი გასუსული უყურებდა ქართველი მომღერლის საფეხბურთო ოსტატობას და ისეთი ოვაციები გამართეს, ლამის „ლა სკალას“ ჭერი ჩამოინგრა. ზურაბმა თავი დაუკრა მაყურებელს და ღირსეული ნაბიჯებით, დინჯად დატოვა სცენა. მეორე დღეს ყველა იტალიური გამოცემა წერდა, საბჭოთა კავშირმა იტალიის ნაკრებს გადაუარა, სოტკილავამ კი „ლა სკალასო“. „ლა სკალაში“ ვინმეს ბურთი აეკენწლოს და აღშფოთების ნაცვლად მაყურებელს ოვაციები გაემართოს, ისტორიას არ ახსოვს.

კოტე მახარაძე:
ერთ დღეს კოტე მახარაძე რაღაც საქმეზე ჭიათურაში ჩავიდა. ფეხბურთის მოყვარული ჭიათურლები სიხარულით დახვდნენ და საღამოს კარგი პურ-მარილიც გაიშალა. ბატონ კოტეს მეორე დღეს ფეხბურთის რეპორტაჟი უნდა გადმოეცა და მასპინძლებმა სთხოვეს, რეპორტაჟის დროს ჩვენს დღევანდელ შარაფსაც თუ ახსენებ, ძალიან გაგვიხარდებაო.

მეორე დღეს დაბრუნდა კოტე მახარაძე თბილისში, საქართველო-უნგრეთის თამაში უნდა გადმოეცა. უნგრელების გუნდში ფეხბურთელი, გვარად შეფერი თამაშობდა. კოტეს ვითომ გამოთქმა უჭირდა და შეფერის ნაცვლად შარაფს ამბობდა — „ბურთი აქვს შარაფს“, „მიიღო შარაფმა“, „რა კარგი რამეა ეს შარაფი“ და ა. ჭიათურლებმა ხომ იცოდნენ, რომ მათ შარაფზე იყო საუბარი და ერთმანეთს აწყდებოდნენ გახარებულები. კოტემ კი არ დაიშურა საქებარი სიტყვები „შარაფის“ მიმართ და ჭიათურლებისთვის მიცემული პირობა შეასრულა. ჭიათურაში კიდევ ერთი სუფრა გაიშალა, ამჯერად პერსონალურად კოტე მახარაძის სადღეგრძელებლად.

მურთაზ ხურცილავა:
ჩილეში რომ საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართა, საბჭოთა ნაკრები იქ ექვსი თვით ადრე გაუშვეს, მაღალმთიანი ქვეყანაა და ფეხბურთელებმა აკლიმატიზაცია კარგად გაიარონო. მოხდა ისე, რომ ჩემპიონატიდან გამოვვარდით და ადრე მოგვიწია საბჭოთა კავშირში დაბრუნებამ. მურთაზი იხსენებდა: „მოსკოვში რომ ჩავფრინდით, ერთი დღით სასტუმრო „როსიაში“ დავბინავდით. ვიგრძენი, რომ ჩემი ქართული ენა ძალიან მომნატრებოდა და ფოიეში გამოვედი, ვიფიქრე, ვინმე ქართველს გადავაწყდები, ქართული ლაპარაკით გულს ვიჯერებ-მეთქი და მელიტონ ქანთარია არ დავინახე? ორი ქართველი, ორი მეგრელი მოსკოვში, სასტუმრო „როსიაში“! — წავედით რესტორანში. ასე მეხუთე ჭიქაზე ვიქნებოდით და სიტყვამ მოიტანა, ბედისწერაზე ჩამოვაგდეთ საუბარი. რა არის ბედისწერა — ამდენი ხანი საზღვარგარეთ ვიყავი, მაგრამ ბედისწერა რომ არა, ხომ არ იქნებოდა ასე-მეთქი? ცხაკაიაში (სენაკი) კარგად რომ არ მეთამაშა და მაინცდამაინც ჩემს თამაშს რომ არ დასწრებოდა ჟორდანია, ახლა ხომ ვერ მოვივლიდი მსოფლიოს? მეგონა, ისეთი რამ ვთქვი, გავაოცე მელიტონი და ხოხ! უარესი არ მითხრა? აბა, აბა! უცნაურია ბედისწერა — ჰიტლერს ომი რომ არ დაეწყო, ხომ დავიღუპებოდი კაციო...

ნოდარ დუმბაძე: 1981 წელს „დინამომ“ თასი რომ აიღო, ტრიუმფატორი გუნდის სხვადასხვა ორგანიზაციებთან შეხვედრები დაიწყო. ერთ-ერთი შეხვედრა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებთან შედგა. ნოდარ ახალკაცმა შეხვედრაზე დუბლშემადგენლობა მიიყვანა და ბოდიში მოიხადა, „ასნავნოი“ გუნდი დაღლილია, ხვალ მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვთ, ამიტომ დუბლები მოვიყვანეო. იმ დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე იყო რომელმაც უპასუხა, ეგ არაფერი, ჩვენც „დუბლები“ ვართ, „ასნავნოი სასტავი“ მთაწმინდაზე წვანან, ძამაო...

მანუჩარ მაჩაიძე: ზამთარში, როდესაც ჩემპიონატებში შესვენება იყო, ფეხბურთელებს სათამაშო ფორმა რომ არ დაეკარგათ, გუნდები საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ და ამხანაგურ მატჩებს მართავდნენ. ერთ ზამთარს „დინამო“ ინდონეზიაში გაემგზავრა. მაშინ იმ ქვეყანას დიქტატორი სუჰარტო მართავდა, რომელიც კომუნისტებს ქუჩაში ხოცავდა და მილიონი ადამიანი შეიწირა. სამი თამაში ჩავატარეთ. მოვუგეთ ინდონეზიის ეროვნულ ნაკრებს და დანიურ „კოპენჰაგენს“, ხოლო ბრაზილიურ „კრუზეიროსთან“ წავაგეთ — იქ ტოსტაო და ბრაზილიის ნაკრების კიდევ ხუთი წევრი თამაშობდა. მეორე დღეს მთელი ინდონეზიური პრესა წერდა, ისეთ ცუდ გუნდთან, როგორიც „კრუზეიროა“, როგორ წააგო „დინამომო“.

სუჰარტომ ჩვენთან შეხვედრა მოითხოვა. მივედით. მიგვიღო, ხელი ჩამოგვართვა და გვთხოვა, კიდევ ერთხელ ითამაშეთო. დავრეკეთ მოსკოვში და თამაშის ნებართვა ვითხოვეთ, მაგრამ მოსკოვიდან გვითხრეს, „ნე პალოჟენაო“, სუჰარტომ კი ფულით სავსე ჩემოდანი გამოგვიტანა, 500 000 ამერიკული დოლარი იყო.

ავტობუსით აეროპორტში რომ მივდიოდით, ჩვენმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა თქვა: მაჩაიძე „გეპეიში“ სწავლობს, მათემატიკა კარგად იცის და ფული მან დათვალოსო. ჩემოდანში სულ 1-2 და 5-დოლარიანები იყო. დავჯექი დასათვლელად და შემომისხდნენ ბიჭები. დავიწყე დათვლა. როგორც იქნა, მოვამთავრე და ათი დოლარი დამაკლდა, არ ვიცი, გაიბნა თუ ვინმემ ამწაპნა. ფულიანი ჩემოდანი გუნდის უფროსს ჩავაბარეთ, მან კი კგბ-ში წაიღო. იქ ჰკითხეს, 10 დოლარი რა უყავიო? და ხელფასიდან დაუკავეს...

ალექსანდრე გოგინავა: 2019 წელია და ლონდონში ევროპალიგის თამაშზე წავედი. „არსენალსა“ და ლიეჟის „სტანდარტის“ თამაში იყო. თბილისიდან ძველი მაისური მქონდა წაღებული რომელსაც „ადებაიორი“ ეწერა. ვერ მოვტვინე, რომ იმ პერიოდისთვის „არსენალის“ ფანებს ეს ფეხბურთელი უკვე აღარ „ევასებოდათ“. მოკლედ, ავედი ტრიბუნაზე და „არსენალის“ სტაჟიან ფანებში მოვხვდი. მხიარული თამაში იყო, 22-ე წუთზე „არსენალი“ 3:0-ს იგებდა. მისი ფანები თან ალკოჰოლს სვამდნენ და კარგ განწყობაზე იყვნენ. დამცხა და მოსასხამი მოვიხსენი. ჩემი მაისურის წარწერა რომ დაინახეს ფანებმა, დაიწყო ჩემს მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზები, რაც თანდათან ძლიერდებოდა. შესვენებაზე გავიძრე ეს მაისური და ლონდონში ნაყიდი ნაცრისფერი მაისურით დავრჩი, რომელსაც ბურთზე შემდგარი მამალი ეხატა — „ტოტენჰემის“ ემბლემა. თავიდან ვერც ეს გავიაზრე და როდესაც ზურგსუკან აგრესიამ კიდევ უფრო იმატა, 64-ე წუთზე, სანამ მიმნაყავდნენ, გამოვიპარე, თორემ შესაძლოა, ცოცხალს ვეღარ გამომესწრო.

სლავა მეტრეველი: „წლის ნაყვაა ეს შენი ფეხბურთი, ზეინკლობა ისწავლე, რომ მომავალი ოჯახის რჩენა შეგეძლოს, — ეტყოდა ჟამიდან ჟამამდე სლავა მეტრეველს მამა და დედაც მხარს უბამდა: „მომაშორე ეგ შენი საზიზღარი ბურთი, თორემ ერთხელაც დავავლებ ხელს მაგ გაბერილ ეშმაკს,



ნაკუწებად ვაქცევ და შეგარცხვენ ამხანაგებთან.“

მათი ოჯახი სოჩაში, ქართველების დასახლება „პლასტუნკაში“ ცხოვრობდა. მაშინ ბურთი ძნელად იშოვებოდა და თან ძვირი ღირდა. სლავამ და მისმა მეგობრებმა ფული შეაგროვეს და ასე იყიდეს ნამდვილი „პიპკიანი“ ბურთი გადამყიდველისგან. ბიჭები მთელი დღე ბურთს დასდევდნენ, თვით ბურთი კი, როგორც გამორჩეულ მობურთავეს, სლავას ჰქონდა მიბარებული.

ერთ დღეს, მოიკითხა სლავამ ბურთი და აღმოჩნდა, რომ დედამისს საიმედოდ დაუმალავს. ის დღე დაღვრემილმა „პლასტუნკელებმა“ ფეხბურთის გარეშე გაატარეს. მეორე დღეს გამოაჩინა დედამ ბურთი, მაგრამ სლავას დაუწესა, მხოლოდ შაბათ-კვირას ითამაშებ, დანარჩენ დღეებში ისევ დაგიმალავო.

მიუხედავად მუქარისა, სამსახურიდან შინისკენ მიმავალი დედა ისევ მობურთალს ხედავდა სლავას და გაოცებული იყო, რანაირად აგნებს დამალულ ბურთსო.

საიდუმლოება იმაში მდგომარეობდა, რომ საზრიანი სლავა, როდესაც დედას ბურთს უბრუნებდა დასამალად, მასში ქონის ნაჭერს დებდა. დედა რომ სამსახურში წავიდოდა, სლავა თავის მაძებარ ძალს, „ბობიკს“ აუშვებდა, სახლში შეიყვანდა და ძაღლი პოულობდა ხოლმე ქონიან ბურთს.

მოგვიანებით, უკვე მსოფლიოში ცნობილი სლავა მეტრეველი განსაკუთრებულად აღნიშნავდა „ბობიკას“ წვლილს მის კარიერაში.

იპოლიტე ხვიჩია: „ბურთი და მოედანის“ გადაღების დროს, კუჭკუჭის პერსონაჟს სტადიონზე სარბენად დიდი შავი ტრუსები დასჭირდა, სტუდიაში კი იპოლიტეს ზომისა ვერ იპოვეს, რის გამოც გადაღება ორი დღით გადაიდო.

საღამოს, შინ მისულმა იპოლიტემ, აივანზე გასაშრობად გაფენილ სიდედრის კუთვნილ, შორტებივით მოგრძო ნიფხავს მოჰკრა თვალი. მეორე დღეს ვერიჩკამ შესძრა მთელი ეზო, სად გაფრიალდა ჩემი „ისაო“. იპოლიტე გვიან დაბრუნდა და აივანზე დაიძინა. დილას აივანზე გასული ვერიჩკას კივილმა ისევ შეძრა სამეზობლო:

— დედაია! ამას რას ხედავს ჩემი თვალები! სად იყო, ბიჭო, მაი ტრუსიკი?!

— კაი, ახლა ვერიჩკა, ამ ასაკში შენზე ჩაცმულს მაინც ვერავინ ნახავდა და ახლა ეს ნიფხავი მსოფლიოს მოივლის, — უთხრა იპოლიტემ.

ჯო ბაიდენის რაზმი საკუთარ პარტიას დაუპირისპირდა

დემოკრატების მასობრივი პოლიტიკური თვითმკვლელობა! — ასე აფასებენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტოლოგები და პრესა, ასევე, დემპარტიის რიგითი მხარდამჭერებიც, გასულ კვირას გამართულ დებატებს მოქმედ და ყოფილ პრეზიდენტებს — ჯო ბაიდენსა და დონალდ ტრამპს შორის.

დიახ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით აშშ-ში, აინტერესებდათ, როგორ წარიმართებოდა დებატები, რომლის ინიციატორიც დონალდ ტრამპი გახლდათ. პოლიტოლოგებმა 45-ე პრეზიდენტის შეთავაზება ერთგვარ ხრიკად შეაფასეს. დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებში ყრილობები ჯერ არ გამართულა და არც ოფიციალურად დაუსახელებიათ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საკუთარი კანდიდატები. ასეთ სიტუაციაში დებატების გამართვა დემოკრატებისთვის წამგებიანი ვარიანტი იყო, მაგრამ პრესტიჟის შესანარჩუნებლად უარი ვერ თქვეს.

დებატებისადმი ინტერესს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ ჯო ბაიდენი თითქმის ათი დღე საჯარო სივრცეში არ გამოჩენილა, კემპდევიდის რეზიდენციაში ჩაიკეტა. ტრამპი კი მხარდამჭერებთან შეხვედრებს განაგრძობდა. ატლანტაში პირველი ჯო ბაიდენი ჩავიდა.

ორგანიზატორმა, ტელეკომპანია სიენენმა დებატები განსხვავებული ფორმატით ჩაატარა — როდესაც ერთი მათგანი საუბრობდა, ოპონენტს მიკროფონს უთიშავდნენ, რათა სიტყვა არ შეეწყვეტინებინა. ამით ორგანიზატორებმა (აღნიშნული ტელეკომპანია დემოკრატების ერთგული მხარდამჭერია და მათი გავლენის ქვეშაა) დააზღვიეს ბაიდენი, რათა ტრამპს მისი დაბნევა ვერ მოეხერხებინა.

დარბაზში პირველი ბაიდენი შევიდა, მას ტრამპი მიჰყვა. შესაძლოა, ადრე უჩვეულოდ მოსჩვენებოდათ, რომ ოპონენტები ერთმანეთს არ მიესალმნენ, ხელი არ ჩამოართვეს. ამჯერად არავის გაკვირვებია, რადგან ისინი მოსისხლე მტრებად ითვლებიან. ტრამპი და ბაიდენი ერთმანეთისკენ არც კი იყურებოდნენ. დებატების დაწყებიდან ათი წუთის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ ტრამპი აშკარად ჯაბნიდა მოწინააღმდეგეს, ამიტომაც დაიწყო დემოკრატების ბანაკში პანიკა.

მსგავსი დაბალი დონის დებატები აშშ-ის ისტორიაში ჯერ არ ყოფილაო, აღნიშნავენ პოლიტოლოგები, ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე დისკუსიის ნაცვლად, ოპონენტები პირადულ საკითხებზე გადავიდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კამათი იმაზე დაიწყეს, ვინ უფრო კარგად თამაშობს გოლფს. მოკლედ, დებატების დონე ფსკერამდე დაეშვა. ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ ბაიდენი ზოგჯერ უაზროდ, გარინდული სახით იყურებოდა სივრცეში, საუბრისას იბნეოდა, წინადადებას ვერ აყალიბებდა, უჭირდა ლაპარაკიც.

დებატებში ბაიდენმა თავისი მდგომარეობით რეალურად შეაშინა არამარტო აშშ, არამედ მთელი მსოფლიო. მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, რომელიც იმავე სიენენმა ჩაატარა, დემოკრატებისთვის კატასტროფული აღმოჩნდა — ბაიდენს გამოკითხულთა 33%-მა დაუჭირა მხარი, ტრამპს — 67%-მა. დებატების შემდეგ თითქმის მთელი დღის განმავლობაში თეთრი სახლის ადმინისტრაციას კომენტარი არ გაუკეთებია, ფაქტობრივად, ყველა თანამშრომელი დაიმალა.

დემოკრატები დებატებით და გამოკითხვის შედეგებით აშკარად შეშფოთებულები არიან, რასაც უკვე ღიად აფიქსირებენ. მიაჩნიათ, რომ ბაიდენის მეორე ვადით არჩევა დაუშვებელია და განიხილავენ, თუ ვინ უნდა ჩაანაცვლოს იგი საპრეზიდენტო არჩევნებში. „...ტრამპი მატყუარაა, ბაიდენი კარგი ადამიანი და პრეზიდენტია, მაგრამ მან უარი უნდა თქვას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე“, — დაწერა „ნიუ-იორკ თაიმსში“ დემოკრატმა ტომას ფრიდმენმა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მან არამარტო საკუთარი მოსაზრება გამოთქვა, არამედ სხვა თანაპარტიელი პოლიტიკოსების მოთხოვნაც გააჟღერა. ამით მოქმედ პრეზიდენტს სთავაზობენ, ნებაყოფლობით თქვას უარი მეორე ვადით კენჭისყრაზე „საკუთარი ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის მიზნით“. დემოკრატები მოუწოდებენ, „მსხვერპლად გაიღოს“ საკუთარი თავი, რადგან, თუ არჩევნებში იყრის კენჭს, პირწმინდად დამარცხდება და შერცხვება ამერიკის, იმ ქვეყნის წინაშე, „რომელსაც კაცობრიობა ნათელი მომავლისკენ მიჰყავს“, — ასე მიაჩნიათ გლობალისტებს.

სპონსორები, აშშ-ის ის უმდიდრესი ადამიანები, რომლებიც ტრადიციულად აფინანსებენ დემპარტიას, ასევე განიხილავენ შესაძლებლობებს, ვიდრე გვიან არ არის, შეცვალონ საარჩევნო კამპანიის მსვლელობა, უკვე ფიქრობენ, როგორ და როდის ჩამოაცილონ ბაიდენი არჩევნებს დემპარტიის ყრილობამდე, რომელიც 19 აგვისტოს გაიმართება, თუ მას შემდეგ. თუმცა, გამოცემა „თაიმის“ ინფორმაციით, დემოკრატებს ბაიდენის შემცვლელი არ ჰყავთ. „ვოშინგტონ პოსტის“ განცხადებით, დემოკრატებს ათი კანდიდატი ჰყავთ, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც შეძლებს ბაიდენის ჩანაცვლებას.

მოქმედი პრეზიდენტი უკან დახევას არ აპირებს. მან დებატების შემდეგ განაცხადა: „გპირდებით, ჩვენ გავიმარჯვებთ!“ ჟურნალ „თაიმის“ ინფორმაციით, ბაიდენი ნებაყოფლობით იმ შემთხვევაში იტყვის უარს არჩევნებში მონაწილეობაზე, თუ უახლოესი გარემოცვა ნებას მისცემს. იქვე ასახელებს მათ ვინაობას — მეუღლე ჯილი, უმცროსი და ვალერი, 85 წლის მეგობარი და მთავარი მრჩეველი ტედ კაუფმანი. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ქვეყანას ბაიდენის ოჯახი მართავს, მათ შორის, მისი ვაჟი ჰანტერი და შვილიშვილები. რით არის დაკავებული თავად ჯო ბაიდენი, საკითხავი და გასარკვევი სწორედ ეს არის.

„საფრანგეთის პრეზიდენტის დიდი ავანტიურა!“ — ასე აფასებენ სხვადასხვა გამოცემები და ექსპერტები ემანუელ მაკრონის მიერ დანიშნულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს, რომლის პირველი ტური გასულ კვირას გაიმართა. ახალი არჩევნების დანიშვნის მიზეზად მაკრონმა ევროპარლამენტის არჩევნებში მისი პარტიის დამამცირებელი დამარცხება დაასახელა. ექსპერტ-პოლიტოლოგებმა იმთავითვე გაოცება ვერ დამალეს არჩევნების თარიღის გამო. ჯერ ერთი, ზაფხულია და ამომრჩეველთა უმრავლესობა არდადეგებზეა. ამის გარდა, პარიზის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, ფაქტობრივად, დღეებია დარჩენილი. არჩევნების დასრულების შემდეგ ექსპერტები ქვეყანაში და განსაკუთრებით პარიზში, საპროტესტო გამოსვლებს, არეულობებს ვარაუდობენ. როგორ გაიმართება უდიდესი სპორტული ღონისძიება ქვეყანაში ამ ფონზე, უცნობია, რადგან ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, საერთოდ ჩაიშალოს ოლიმპიური თამაშები.

პირველი ტურის შემდეგ არჩევნებში 33%-ით ლიდერობს მარინ ლე პენის პარტია „ნაციონალური გაერთიანება“. მეორე ადგილზე მემარცხენე ალიანსია 28%-ით, ხოლო მაკრონის პარტიამ 20% მიიღო. შედეგების გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში დაიწყო არეულობები, რასაც პოლიციასთან შეტაკებები მოჰყვა. ქუჩაში გავიდნენ გამარჯვებულებიც და დამარცხებულებიც. მეორე ტური უკვე კვირას, 7 ივლისს ჩატარდება. ცალკეული პოლიტოლოგების შეფასებით, მაკრონმა თავისი ავანტიურული გადაწყვეტილებებით, შესაძლოა, საფრანგეთი სამოქალაქო ომამდე მიიყვანოს. მათივე აზრით, მაკრონი შეეცდება, არეულობები საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს, მაგრამ ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი მას არ ანაღვლებს. დაველოდოთ, 7 ივლისამდე სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი.

ამ კვირაში, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება ბრიტანეთში, რომელიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა რიში სუნაკმა მეფესთან, ჩარლზ III-სთან შეთანხმებით მაისის ბოლოს დანიშნა და მოქმედი პარლამენტი დაითხოვა. თავდაპირველად პრემიერმა პესიმისტური პროგნოზი გააკეთა — შესაძლოა, ლეიბორისტულმა პარტიამ გაიმარჯვოსო, მაგრამ შემდეგ საკუთარი კონსერვატიული პარტიის გამარჯვება დააანონსა.

გასულ კვირას ცნობილმა მომღერალმა და მუსიკოსმა ელტონ ჯონმა მოსახლეობას ლეიბორისტული პარტიის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კონსერვატიული პარტიის ათწლიანი მმართველობა დასასრულს უახლოვდება, რადგან მათ ქვეყანა მნიშვნელოვნად დახიეს უკან.

ირანში ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომლის დანიშვნაც იბრაჰიმ რაისის ტრაგიკულად დაღუპვის გამო გახდა საჭირო, ამ კვირაში მეორე ტური ჩატარდება, სადაც ერთმანეთს რეფორმისტი მასუდ პეზეშკიანი და კონსერვატორი საიდ ჯალალი დაუპირისპირდებიან. მართალია, ირანში პრეზიდენტს სახელისუფლო იერარქიაში მეორე ადგილი უკავია, და, ძირითადად, საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს, მთავარი მოქმედი პირი მათი სულიერი ლიდერი აიათოლაა. აქედან გამომდინარე, რეფორმატორის გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ირანის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ფაქტობრივად, არაფრით შეიცვლება. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი გარემოება, დამარცხებულმა ორმა კანდიდატმა საკუთარ ამომრჩევლებს მოუწოდეს, მხარი ჯალალს დაუჭირონ.

გია ბურდული

გნებავთ ნებაყოფლობითი სიკვდილი?

(გაგრძელება, დასაწყისი „სგ“ N21)

— მეუბნებიან, „კაპრიზნი“ მჭამელი ხარო... ჩემი ნავაჭრი ხილ-ბოსტნეული უხარისხოა საქმეში ჩაუხედავისთვის, არადა, მე ვიცი, რომ ჯანმრთელი შევიძინე, შესახედაობა არ მაინტერესებს...

— ვაშლს რომ კოჟრივით აქვს, იმას ვინ იყიდის, დაიწუნებს ყველა მყიდველი, რაღაც მავნე დეფექტი ჰგონიაო. არადა, ის ფუტკრის ნაკვალევია ვაშლის ყვავილზე და უფრო ტკბილია ჯანმრთელთან ერთად. ფუტკარი ბუზი არ არის, რომ ნეხვზე დაჯდეს, ყვავილთა შორისაც კი უმაღლესი ხარისხის ნექტარს არჩევს...

მურაბის ხარშვისას რომ შიგ ფუტკარ-კრაზანა არ ჩავარდება, იქ შაქარი არ არის...

ჭიანჭველა რომ შენი საკვების ნამცეცებიდან რამეს არ გაარბენინებს, ის როგორ უნდა ჭამო...

კატა რომ ძეხეულს, ხორცს და თევზს არ შეჭამს, ის შენ რატომ უნდა მიირთვა...

ხორცის დაჭრისას რომ ბუზი არ მოფრინდება, ის ხორცი უნდა

გადააგდო... მაგრამ ამას ვინმე იზამს? გითხარით, „კოლორადოს ხოჭო“ რომ კარტოფილს არ შეჭამს და იმ კარტოფილს შენ ჭამ, ხომ უნდა შეგრცხვეს მაინც, რომ ხოჭო შენზე ჭკვიანია...

— ვიეტნამის კიტრიო, რომ თქვი, კიტრის მწნილი იგულისხმე?

— ყველაფერი ვიგულისხმე, რასაც საკვებად მოიხმარს ადამიანი. იქიდან შემოაქვთ ლარში, ჩვენსას ასყიდებენ დოლარში, ჩვენი კარგია და იმიტომ და ეს კარგად იციან იმათ... ძეხვეული, თუ კარგია, იმას ემულგატორი არ აქვს, იქნება მაცივარში და 48-72 საათში კი შეჭამ, მერე ისედაც უვარგისი გახდება; შებოლილი 7 დღე გაძლებს და გაფუჭდება და ა. შ. — ცოტა ჭამე, მაგრამ ჩვენი და კარგი ჭამე, ასე სჯობს!

ჩემი აზირება ხომ არ არის ემულგატორების ლანძღვა, ამ საწამლავს ხანგრძლივად ან ხშირად მიიღებს ორგანიზმი და გაუნადგურდება გენური სტრუქტურა...

ფეხმძიმე ქალმა რომ იცის რაღაცის მოსურვილება და უსრულებენ, ბავშვი ელამი გამოვა თუ დედას თვალი დარჩა რამეზეო, — ეს ვინ დაადგინა, მაგრამ ვთქვათ, მართლაც ასეა, არ სჯობს, ელამი დაიბადოს, ვიდრე მუცლადყოფნიდანვე გადაგვარებული იყოს? ვინ გაგვიმხელს, რა დაადგინეს, რა მუტაციებს იწვევს ნაყოფში ემულაგატორები?

— ყველაზე მეტად რა სახის საკვებში გამოიყენება ემულგატორები, ყველაფერში ხომ არ არის...

— საღეჭი რეზინი, გაზიანი სასმელები, ტკბილეული, ძეხვეული — ამაში აუცილებლად არის, სხვა დანარჩენში — მეტ-ნაკლებად. E121 და E123 საღებავია (ამარანტი); E240 საღებავია (ფორმალდეჰიდი); E924 და კალიუმის ბრომატი — მხოლოდ ესენი იყო აკრძალული საქართველოში, თითქოს დანარჩენი დედის რძესავით შეგერგებოდა, ახლა თუ კიდევ რამე დაამატეს, არ ვიცი, მაგრამ ყველა შხამია და...

— შებოლვა ახსენე, რაზეა შებოლილი, თუ მართლა შებოლილია და ვთქვათ, ფერის მიმცემ სითხეში არ არის გავლებული.

— ბოლის ფილტრაცია თუ ხდება, კარცენოგენური ნივთიერება იმდენი აღარ ხვდება პროდუქტში, მაგრამ სხვანაირად ბოლავენ. გამოხდილი აქვთ ნახერხის სპირტი და რომ შებოლავენ, „კაპტილნი ჟიდკოსტი“ ჰქვია, იმას ასხამენ ძეხვეულზე ან რაზეც უნდათ, სასურველ ფერს იღებს, თან ბოლის სუნსა და გემოს იძენს...

— მაგას ვჭამთ და გვიხარია, გვგონია, რომ შებოლილია?

— ასეა. ნამდვილად შებოლილი და ასეთი გაკეთებული რომ დაგიდონ წინ, თუ არ იცი, რომელი სჯობს, ნამდვილს დაიწუნებ, რადგან შესახედად არ გამოიყურება თვალწარმტაცად. ზოგადად, რაშიც საღებავია გარეული, ყველაფერი მავნებელია. ნუ უსმენთ მოსატყუებელ სიტყვებს — „საკვები საღებავი“. საღებავი რაში სჭირდება, თუ ნამდვილი და ჯანმრთელია. უკვე მატყუებ!

აიღებენ თევზს, მაგალითად, რაც ხშირია ჩვენს დახლებზე — სკუმბრიას, ამოვლებენ საღებავში, გააჩერებენ ორ საათს და ვითომ შებოლილია. არ აწყობს მწარმოებელს შებოლვა, წონაში დააკლდება და იზარალებს. თუ მოტყუვდი, გეტყვიან, კობრიაო, ან ორაგულიაო, გააჩნია, რა ზომისაა...

მწარმოებელს ისე აქვს ყელში წაჭერილი, წესიერად რომ გააკეთოს, მოგება კი არა, იქით ექნება დასამატებელი, გადასახადებს მოუნდება მთელი მოგება. როცა არ უნდა შენს მთავრობას, რომ ხარისხიანი პროდუქცია აკეთო, ასეა, თორემ იმ ფალსიფიკატორის თვითმიზანი არ არის შენი დასნებოვანება. რაც უფრო მეტ დაწოლას განახორციელებს კანონი პროდუქციის ადგილობრივ მწარმოებლებზე, მით უფრო გაუარესდება ხარისხი და მოიმატებს თაღლითობა.

გლდანის ფსიქიატრიულში ხიზილალას რომ ამზადებდნენ, არ გახსოვთ?

— მე ვიცი, რომ ახმეტაში ბაყაყის ქვირითს ასაღებდნენ ხიზილალად, მაგრამ გლდანში სად ნახავდნენ მაგდენ ბაყაყს, ალბათ, ჟელატინს ბერავდნენ და ფერს აძლევდნენ, მაგრამ ცალობით ხომ არ გააკეთებდნენ, ვერ ვხვდები...

— თევზის ნახარშისგან კეთდება. არის დანადგარი, რომელიც ნახარშის წვეთს აქცევს მარცვლად. ბაბუაჩემმა პირადად დაუმზადა ეს დანადგარი ისრაელში ვიღაცას, მაგრამ დაანებეს თავი ამ მაიმუნობას, რადგან ისრაელში დიდი სიცხეები იცის და უდნებოდათ ხიზილალა...

— უი, თქვენ გისწავლებიათ და გაგიბრიყვებიათ ისრაელის მოსახლეობა და არა მხოლოდ ისრაელისა...

— ჩვენ კი არ გვისწავლებია, ბაბუაჩემს შეუკვეთა კაცმა, ცნობილი პროფესორი იყო (მის ვინაობას არ ვასახელებ) და წაიღო იქ. გონიერ კაცს რომ ფინანსურად გაუჭირდება, გამოსავალს იპოვის, სრულებით არ სჭირდება იარაღით სირბილი და კლასიკური ყაჩაღობა...

— ჩვენ შორის ასეთი საუბრების გამო, დიდი ხანია, ყველა საკვებს ეჭვის თვალით ვუყურებ, არადა, გვიმტკიცებენ, მილიონობით ადამიანი იკვებება გენმოდიფიცირებული საკვებით, საგანგაშო არაფერიაო...

— ვინც მაგას ამტკიცებს, ან გაგებაში არ არის, ან რომელიმე

ორგანიზაციის ინტერესებს ემსახურება და სრულებით არ აინტერესებს საკუთარი თუ სხვისი შთამომავლობის ვარგისიანობა.

ამ დაპატარავებულ საქართველოს სამი ამდენი მოსახლეობის გამოკვება შეუძლია ადგილზე მოყვანილი, აბსოლუტურად ნატურალური პროდუქტით — თუ ვიღაცების ინტერესში არ არის, რატომ შემოდის ხელოვნური საკვები?

ჰკითხეთ უცხოელს როგორი გემო აქვს აქვს ჩვენს ვაშლს, ზოგადად, ხილ-ბოსტნეულს და მიხვდებით, რა ბუნებრივი განძი გვაქვს ქართული მიწა-წყლის სახით. ჩვენი ახლობლები რომ ჩამოდიან უცხოეთიდან, არაფერი ეჩვენებათ, — ქართულ მიწაზე მოყვანილი ყველაფერი გემრიელია, რადგან, რაც ჩვენი გვაქვს, ყველაფერი ნამდვილია.

ადამიანი ორმო არ არის, რომ ყველაფერი შიგ ჩაყარო...

მაშინ ასე ვთქვათ, კი ნუ იმამაძაღლებენ! ჩუმად კი ნუ შემომატყუებენ რაღაცას, დაადონ ნიშანი, რომ გენმოდიფიცირებულია და მერე ჩემი ნება იქნება, შესახედად იაფს და ლამაზს ვიყიდი, თუ იაფს და უშნოს. ვითომ აქვს მინიშნება, მაგრამ ფარსია, ალაგ-ალაგ თუ შეხვდები, თვალისასხვევა, თორემ ყველა საწამლავს არ ადევს გენმოდიფიცირების ნიშანი!

ვაშლი რომ გინდოდეთ, ჭიანი იყიდეთ, იმ ჭიას ადამიანზე მეტი ჭკუა აქვს, მოსაწამლს და სასიკვდილოს არ შეჭამს!

ახლა კი შეპირებულ ჩამონათვალს გაგაცნობთ. საკმარისია, ერთხელ დაიხსომოთ, რომელ პროდუქციას აქვს ამათგან რომელიმე რიცხვობრივი ნიშანი და აღარასოდეს დაგავიწყდებათ.

სიმსივნის წარმოქმნას უწყობს ხელს: E 131; 142; 153; 210; 211; 212; 213; 215; 216; 217; 219; 230; 239; 240; 259; 280; 281; 283; 330; 954;

კუჭ-ნაწლავის დაავადების გამომწვევი: E 154; 338; 340; 341; 343; 450; 451; 452; 461; 462; 463; 465; 466; 626; 627; 629; 631; 632; 633; 634; 635; 639;

ნაწლავური დაავადების მაპროვოცირებელი: E222; 223; 224; 226;

კანის დაავადების გამომწვევი: E 232; 233;

წნევის ამწევი: E 250; 251; 252;

ქოლესტერინის ამწევი: E 320; 321;

ალერგიის გამომწვევი: E 311; 312;

საშიში დანამატები: E 102; 110; 120; 123; 124; 127; 180; 201; 220; 222; 223; 224; 501; 502; 503; 620;

განსაკუთრებით საშიში დანამატები: E510; 513; 527;

საეჭვო დანამატები: E 104; 141; 151; 171; 173; 180; 240; 241; 471; 477;

შემდეგში გეტყვით, რატომ ძვირდება პროდუქტი მარკეტებისა და სუპერმარკეტების დახლებზე.

P.S. მცირე ხნის წინათ, ჩვენი, ადგილობრივი, „ნიკორას“ პაშტეტი ვიყიდე და ამ ჩამონათვალის გადამკიდემ დავხედე, ვიფიქრე, ნეტავ, რომელიმე ხომ არ არის ამ ნომრებიდან-მეთქი? — არადა, მიყვარს პაშტეტი. E250, E466, — აწერია საყვარელ პროდუქტს. დავკვალიანდი და ცერად გადავხედეთ ერთმანეთს მე და დედაჩემმა, მას წნევის აწევა ემუქრება, რადგან ჰიპერტონიკია, მე კუჭ-ნაწლავი ამაბუყბუყდება ისედაც ამ მხრივ პრობლემურს.

მშვიდობით, „ნიკორას“ პაშტეტო!

(გაგრძელება იქნება)

შეხვედრა დიდებულ ხელოვანთან

24 ივნისს, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების (პრეზიდენტი დავით შემოქმედელი) ორგანიზებით, საქართველოს მწერალთა სასახლეში დიდებულ კომპოზიტორთან, მარიკა კვალიაშვილთან თბილი და დასამახსოვრებელი შეხვედრა გაიმართა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა და ღონისძიებას უძღვებოდა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, მწერალი დავით შემოქმედელი.

როცა ამ ხელოვანზე ფიქრობ, უპირველესად გალაკტიონის სტრიქონები გახსენდება — „ სავსე ქართული პატიოსნებით''.

ეს იყო ხელოვანთან შეხვედრა-დიალოგი, სადაც სრულიად ახალი კუთხით წარმოჩნდა ქალბატონი მარიკას შემოქმედებითი პორტრეტი.

ღონისძიების წამყვანმა საზოგადოებას წარუდგინა ქალბატონი მარიკას ავტორობით გამოცემული ორი წიგნი-ალბომი, რომლებიც კომპოზიტორის ბებიას, ლეგენდარულ მარო თარხნიშვილსა და კომპოზიტორის მამას, საქართველოს სახალხო მხატვარს, კოტე კვალიაშვილს მიეძღვნა. ბატონი კოტე ორმოცამდე ქართული მხატვრული ფილმის მხატვარია, რომელთა შორისაა „ოთარაანთ ქვრივი'', „ქეთო და კოტე'', „გიორგი სააკაძე'', „ცისკარა'' და სხვა. მას ნაყოფიერი თანამშრომლობა ჰქონდა რეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან. ბატონმა დავით შემოქმედელმა დამსწრეთ წარუდგინა ასევე, ქალბატონი მარიკას პროზაული ნაწარმოებების, ეტიუდებისა და ჩანახატების წიგნი.

ქალბატონმა მარიკამ შთამბეჭდავად ისაუბრა საკუთარ ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე. იყო მრავალი შეკითხვა, რაზედაც კომპოზიტორმა ამომწურავად უპასუხა.

სიტყვებით გამოვიდნენ: რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, პროფესორი თამარ შარაბიძე, პროფესორი რამაზ მეფარიშვილი, მწერალი ერეკლე საღლიანი, კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე, ოპერის მომღერალი მაკა ბერძენიშვილი, რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფილოლოგი მარინა ნონიკაშვილი, პროფესორი ეკატერინე ვარდოშვილი, რუსთაველის საზოგადოების კოორდინატორი ნატალია ზაქარეიშვილი, მწერალი ნატო ფირცხალავა, პოეტი იანელ კოჭლამაზაშვილი.

მხატვრული ტექსტები ემოციურად წაიკითხეს მსახიობებმა - ელდინო საღარაძემ და მაკა შალიკაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ საღამო გაგრძელდა, მაყურებელს დაღლა არ უგრძვნია. ეს, უპირველესად, დიდებული პიროვნებისა და ნიჭიერი ხელოვანის, ქალბატონი მარიკა კვალიაშვილის დამსახურებაა.

რუსთაველის საზოგადოების პრეს-ცენტრი

ჩვენს საყვარელ კოლეგას, ძვირფას მეგობარს, გამრჯე, მშრომელ ადამიანს

ბელა გველესიანს

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, წინსვლას პირად და შემოქმედებით ცხოვრებაში.

დაე, დიდხანს იბრწყინოს და იკაშკაშოს საყვარელი ოჯახისა და მეგობრების გულის გასახარად.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირ მცოდნის საიუბილეო საღამო

29 ივნისს, ტყიბულის საზოგადოებამ დასამახსოვრებელი, თბილი შეხვედრა მოუწყო „ვეფხისტყაოსნის'' ზეპირ მცოდნეს, ღვაწლმოსილ პედაგოგსა და ტყიბულის საპატიო მოქალაქეს, ქალბატონ ანრო ცირეკიძეს. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ ორპირის საჯარო სკოლა (დირექტორი ირინე ბერეკაშვილი), რომლის კედლებში ქალბატონმა ანრომ, როგორც გერმანული ენის უბადლო პედაგოგმა, 4 ათეული წელი გაატარა. ქალბატონი ანრო, როგორც ფენომენალური მეხსიერების მქონე პიროვნება, „ვეფხისტყაოსნის'' ზეპირ მცოდნეთა რესპუბლიკური კონკურსის ექვსგზის გამარჯვებულია. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ ქალბატონ ანროს „ვეფხისტყაოსნის'' პოპულარიზაციაში გაწეული დიდი დამსახურებისათვის „ქართული კლასიკური მემკვიდრეობის მოამაგის“ საპატიო წოდება მიანიჭა.

სიტყვით გამოვიდნენ და იუბილარის მიმართ კეთილი სურვილები გამოთქვეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, ტყიბულის საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ, სტუმრებმა: სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა დავით შემოქმედელმა, ქუთაისის სამედიცინო კლინიკის დირექტორმა, ქუთაისის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ, პოეტმა მერაბ კვიცარიძემ, რუსთაველის საზოგადოების პრესცენტრის ხელმძღვანელმა, პოეტმა იანელ კოჭლამაზაშვილმა და სხვებმა.

ქალბატონმა ანრო ცირეკიძემ საპასუხო გამოსვლაში მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებას.

რუსთაველის საზოგადოების პრეს-ცენტრი

მკითხველის ფოსტიდან

თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს

დალი ჭრიკიშვილის განცხადება

ბატონო კახა! ძალიან ვწუხვარ, რომ დიდ დროს წაგართმევთ ჩემი წერილის წაკითხვა, მაგრამ მოკლედ ვერ შევძელი. საკითხია ასეთი.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ორთაჭალაში, სიონის ეკლესიას ცოტა რომ გავცდებით, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მიმდებარე ფერდობზე არის სკვერი, მერხებით გაწყობილი და ზაფხულში, ალბათ, ამწვანებული. სკვერის შუაგულში არის დიდი ოღროჩოღრო ღრმული, რომელიც შემოკავებულია მავთულით. ერთ-ერთ კუთხეში ჩარჭობილია დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლის რკინის ღერო, რომელზეც დამაგრებულია რკინის პატარა ფირფიტა წარწერით: **„კრწანისის ომში დაღუპული მეომრების საფლავები“**. გამაოგნებელი სურათია. ნუთუ სამასი არაგველი და საერთოდ, ყველა თავდადებული, ამას იმსახურებს? ასე როგორ უნდა დაბეჩავდეს და დაკნინდეს ერი, რომ თავისი გმირების საფლავები შემორჩენილი ჰქონდეს და ასეთ უბადრუკ მდგომარეობაში ამყოფებდეს. ეს სირცხვილია ყველა ქართველისათვის ჩემგან - 81 წლის მოხუცისგან დაწყებული და მათით დამთავრებული, ვისაც მხრებზე დიდი პატივი და უმძიმესი ტვირთი გაწევთ საქართველოს მართვისა.

კრწანისის ომი უკანასკნელი ომი იყო საქართველოს ისტორიაში. ამ ბიჭებმა უკანასკნელად მოიქნიეს ხმლები და ჩაწვნენ მიწაში. დამთავრდა მრავალსაუკუნოვანი ჯაჭვი ომებისა საქართველოს მიწის დასაცავად არაბებისგან, თურქ-სელჩუკებისგან, მონღოლებისგან, სპარსელებისგან, ლეკებისგან... ჩვენ უღირსებო ერი არ ვიყავით.

ამ საფლავებმა თავისი საკადრისი სახე უნდა მიიღონ. ეს თქვენ უნდა გააკეთოთ და აი, რატომ. მაგ სკვერში, განსაკუთრებით ზაფხულში, ხალხი დადის, მაგრამ წარწერა არავის შეუმჩნევია, ან შეამჩნია, მაგრამ არ დაინტერესდა, გულგრილად ჩაიარა. მე თბილისში დავიბადე და მთელი ცხოვრება აქ გავატარე, მაგრამ ორთაჭალაში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის არსებობა არ გამეგონა. 19 იანვარს, მაცხოვრის ნათლიღების დღეს პირველად მივდიოდი ამ ეკლესიაში. გზა ამებნა, არასწორ ბილიკს დავადექი, რომელმაც იმ საფლავებთან მიმიყვანა. ასე მგონია, ღვთის ნება იყო, რომ იმ წმინდა დღეს წმინდა საქმეზე მიმავალს (ბავშვის ნათლობაზე მივდიოდი), ეს წარწერა მენახა და ეს ცნობა ქალაქის პირველ ჭირისუფლამდე მომეტანა.

ჩემთვის არავის მოუნიჭებია უფლებამოსილება, მთელი ერის სახელით მოგმართოთ, ამ უფლებას წარსულის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა მაძლევს.

რა უნდა გაკეთდეს? ჩემი აზრით: უნდა ამოივსოს ღრმული, დაიდგას მონუმენტი შესაბამისი წარწერით და ეს ადგილი შეიმკოს წითელი ვარდებით; სასურველია, რომ ძეგლი მიეძღვნას არა მხოლოდ კრწანისის, არამედ საქართველოსთვის ყველა ეპოქაში, ყველა ომში დაღუპულ მებრძოლებს. ეს იქნება ღირსეული დაფასება ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. ეს ადგილი უნდა შევიდეს ტურისტულ მარშრუტში და მოყვარეც და მტერიც გაიგებს, რომ ჩვენ ვართ ერი, რომელსაც შემონახული და მოვლილი აქვს საუკუნეების წინათ დაღუპულ გმირთა საფლავები. მშობლები და მასწავლებლები აქ მოიყვანენ ბავშვებს, ჩაუნერგავენ წარსულისადმი პატივისცემას. ეს სჭირდება მომავალ საქართველოს. ეს ყველაფერი იქნება თქვენით. ამის იმედს მაძლევს თქვენი პასუხისმგებლიანი, ვაჟკაცური, ქართული სული. ამიტომ მჯერა, რომ ღვთის შეწევნით შეძლებთ ამ დიადი საქმის დაგვირგვინებას. მე მჯერა, რომ, მიუხედავად იმისა, ამ ქვეყნად გასავლელი გზის პატარა მონაკვეთიღა დამრჩა, მე მოვესწრები ამას.

როდესაც თქვენ ამ წმინდა საქმეს აღასრულებთ, თქვენ იქნებით ღირსი დიდი ვაჟას სიტყვებისა - ეს არის „იმის კაცობის გვირგვინი“.

ეს წერილი მერიაში გასული წლის 31 მარტს მივიტანე. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერაფრით ვერ მოვახერხე ბატონ კახასთან შესვლა. არ ჭრიდა არც ჩხუბი და არც ეროვნული მოტივებით შეგონება. ბოლოს იმას მივაღწიე, რომ წერილი დაიტოვეს და გადაცემთო, შემპირდნენ. შემდეგ წერილი კრწანისის რაიონის გამგეობას გადასცეს. იქაც რამდენჯერმე დავრეკე და გარკვეული პასუხი ვერ მივიღე. გავჩერდი. ამ დღეებში ისევ წავედი და ვნახე, არის თუ არა რამე გაკეთებული. ეკლიანი მავთულის ნაცვლად, რომლითაც შემოკავებული იყო საფლავები, უბრალო, მაგრამ დაწნული ღობეა შემოვლებული. შეცვლილია წარწერაც. დაახლოებით ერთი კვადრატული მეტრის დაფაზე მშვენიერი ქართული ასოებით გამართული ტექსტი წერია. რაც შეეხება საფლავებს, ხელი არ არის ნახლები. ძალიან მეტკინა გული.



ჩემი გაგებით, ეს დიდი მასშტაბის საქმეა და მარტო რაიონის გამგეობა ვერ შეეჭიდება. სასურველი იქნება, ამ საშვილიშვილო საქმეში თუ სახელმწიფოსთან ერთაც დიდი მეცენატი ჩაერთვება. ამაზე დიდებულ საქმეს ქართველი კაცი ვერ გააკეთებს.

დალი ჭრიკიშვილი

P.S. როგორ არგებდა ეროვნული აღორძინების გზაზე შემდგარ „ოცნებას“ არჩევნების კვირაძალზე, 24 სექტემბერს, კრწანისის ომის 124-ე წლისთავზე, ომში დაღუპული მებრძოლების საფლავზე მემორიალის საზეიმო გახსნა.

გვიყვარხართ, ბიჭებო!

საქართველოში ფეხბურთს XX საუკუნის დამდეგიდან დაედო სათავე. პირველი ოფიციალური საფეხბურთო გუნდი 1907 წლის 23 თებერვალს შეიქმნა, რომელსაც თავისი წესდება, სახსრები, ფორმა და მოედანი ჰქონდა. მას „კომეტა“ ეწოდა. მას მალე, 1913 წელს, ფოთის გუნდი „კოლხეთი“ შეუერთდა, რომელიც ყველას კარგად გვახსოვს ქართული ფილმიდან „პირველი მერცხალი“. საქართველოში პირველად ნაციონალური საფეხბურთო ნაკრები 1918 წელს ზესტაფონში შეიკრიბა, აქვე, 1920 წელს გაიმართა პირველი საერთაშორისო მატჩი.

1925 წელს საქართველოში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ჩამოყალიბდა, რასაც ჩვენი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მონაწილეობა მოჰყვა...

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, თბილისის „დინამომ“ არაერთი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირისა და ევროპის საერთაშორისო ეგიდით გამართულ მატჩებში. მარტო 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვება რად ღირს...

საქართველოს ფეხბურთის ახალი ისტორია 1990 წელს დაიწყო. მას შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ნაკრები და საკლუბო გუნდები უკვე სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობენ...

მას შემდეგ დიდი გაჭირვება გამოიარა ქართულმა ფეხბურთმა. სიტყვით ყველა გულშემატკივრობდა ჩვენს ფეხბურთელებს – ჩინიანიც და უჩინოც, მაგრამ პრაქტიკულად არავინ არაფერს აკეთებდა მათ დასახმარებლად. ჩინოვნიკები თავს იმართლებდნენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელი ორგანოა და მათ საქმეში ვერ ჩავერევითო. გარდა ამისა, ფინანსურ კრიზისს ეფარებოდნენ, სახელმწიფოს სპორტის დასაფინანსებლად სახსრები არ გააჩნიაო.

კიდევ უფრო სავალალო ვითარება ქვეყნის სათავეში „ნაცმოძრაობის“ მოსვლის შემდეგ შეიქმნა, როდესაც სპორტული ობიექტების, მათ შორის, სტადიონების გაყიდვა-გასხვისება დაიწყეს და მათ ადგილას საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების შენობები წამოჭიმეს. ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ერთს კი აუცილებლად გავიხსენებ: ქეთევან წამებულის გამზირზე არსებული არმიის სპორტული კლუბის სტადიონი გაანადგურდა, მის ნაცვლად კი, საცხოვრებელი და კომერციული შენობები წამოიჭიმა.

საბედნიეროდ, დღევანდელი ვითარება რადიკალურად შეიცვალა — საქართველოს ნაკრებმა ევროპის 2024 წლის ჩემპიონატზე მერვედფინალში იასპარეზა! ეს კი უკვე ქართული ფეხბურთის უდიდესი წარმატებაა. თითქმის 34 წელი დაგვჭირდა, რათა ასეთ დიდ შეჯიბრში გვეასპარეზა.

წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი დებიუტანტი, საქართველოს ნაკრები ასპარეზობდა, რომელიც უპირობო აუტსაიდერად მიაჩნდათ მეტოქე გუნდებს. თუმცა, პირველივე შეხვედრიდან დაწყებული, ჩვენმა ბიჭებმა მებრძოლი ხასიათი, შემართება და ტექნიკური თამაში უჩვენეს – თურქეთის ნაკრებთან დასანანი მარცხის შემდეგ, ფრედ ითამაშეს ჩეხეთის ნაკრებთან და მოუგეს ძალზე ძლიერ პორტუგალიის გუნდს. სამწუხაროდ, ესპანეთის ეროვნულ ნაკრებთან დავმარცხდით, მაგრამ ევროპის 16 უძლიერესთა შორის ადგილი მაინც დავიმკვიდრეთ...

თამაშების დეტალურად განხილვას არ შევუდგებით, რადგან მათ სრულიად საქართველო უყურებდა! ერთია მხოლოდ აღსანიშნავი – ჩვენებმა მართლაც ლამაზი ფეხბურთი ითამაშეს, ულამაზესი გოლები გაიტანეს და მეტოქეს ერთი გოჯი მინდორიც არ დაუთმეს. თუმცა, სპორტში, განსაკუთრებით ფეხბურთში, გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემპიონატზე დებიუტის მიუხედავად, ქართველმა ფეხბურთელებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს.

ქართველმა ქომაგებმა ხომ განსაკუთრებულად გავაოცეთ ევროპელები, ტრიბუნებიდან თუ სამშობლოდან!

როგორც ხედავთ, მოთამაშეთაგან არავინ გვიხსენებია, რადგან ფეხბურთი გუნდური თამაშია, მხოლოდ ერთი ფეხბურთელი მოედანზე დიდ შედეგს ვერ მოუტანს ნაკრებს. სწორედ გუნდური მუშაობის შედეგად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა გერმანიაში ევროპის ჩემპიონატზე. დიახ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გვერდში დაუდგა ქვეყნის მთავრობა, ხელისუფლება. ათწლიანმა ერთობლივმა გარჯამ შედეგი გამოიღო.

წინ გვაქვს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები. იმედი გვაქვს და დარწმუნებულებიც ვართ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ხელისუფლება კვლავაც გვერდში დაუდგებიან ჩვენს მოთამაშეებს. იმისიც გვჯერა, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები გამოასწორებენ ხარვეზებს და წარმატებებით გაგვახარებენ, მოიპოვებენ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს და მუნდიალზე ღირსეულად იასპარეზებენ.

მანამდე კი გულწრფელად გეუბნებით: ბიჭებო, გმადლობთ!

„პირველი მერცხალი“
(ფილმში არშესული კადრი)

გია ბურდული,
ლევან ბოჭორიშვილი
კიოლნი. 30.06.2024

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ახალგაზრდა-დასავლეთის“ სტამბაში. აგლაქის 39. ტელ: 234-39-99